თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი

თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრა

სტუდენტთა თარგმანები

თბილისი

2014

კრებულში თავმოყრილია თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის მიერ 2014 წელს გამოცხადებული სტუდენტთა თარგმანების კონკურსის შედეგად შერჩეული თარგმანები. დიდი იმედი გვაქვს, რომ ასეთი ელექტრონული კრებულების გამოცემა ტრადიციად იქცევა.

The first electronic collection of translations was compiled using the translations TSU students submitted to the committee of the competition organised by Chair of English Philology ,TSU in 2014. Hopefully, this initiative will be followed by many more.

სარედაქციო კოლეგია

მანანა რუსიეშვილი, მანანა გელაშვილი

Editors

Manana Rusieshvili & Manana Gelashvili

1. Shio Aragvispireli . **Judas Iscariot (The passover kit)**(Translated by Konstantine Kardava)--4

2. რადიარდ კიპლინგი. **თუკი** (თარგმნეს ნათია კაღაშვილმა და თამთა ხუციშვილმა)------- 12

3. რობერტ ბერნსი. **წითელი, წითელი ვარდი** (თარგმნა მაგდა მარუაშვილმა) -------15

4. ჯორჯ ბაირონი. **მტირალი გნახე** (თარგმნა თინათინ ბერულავამ)----- 17

5. მარი ჯოზეფი.**შესაფერისი დროის მოლოდინში (** თარგმნა სოფიო თოთიბაძემ) - 19

6. ოლდოს ლეონარდ ჰაქსლი. **ფერუმარილი** (თარგმნა სოფიო გვრიტიშვილმა) -- 23

7. ერნესტ ჰემინგუეი. **თეთრი სპილოს მსგავსი მთები** (თარგმნა მარიამ ბულაურმა) -29

8. ალან მელი. **სასწაულები ნამდვილად ხდება** (თარგმნა თეონა გარსევანიშვილმა)--- 35

9. ნილ გაიმანი. **კორალინა** (თარგმნა სალომე შარაძემ) ---------- 41

10 . სომერსეტ მოემი.**სიზმარი** (თარგმნა თეონა ოთხოზორიამ) ——————— 48

11 . ურსულა უილს ჯონსი. **დროის დამლაგებლები**(თარგმნა ხატია სეფიაშვილმა)----------53

12. უილიამ სომერსეტ მოემი. **საუზმე (თარგმნა** თინათინ მანაგაძემ)---------- 56



შიო ზაქარიას ძე არაგვისპირელი, (ნამდვილი გვარი *დედაბრიშვილი*) (დ. 4 დეკემბერი/16 დეკემბერი, 1867, სოფ. ქარისხევი (ან თანდილაანთკარი), ახლანდელი დუშეთის რაიონი— გარდაიცვალა 2 იანვარს, 1926 წელს, თბილისში,) ქართველი მწერალი.

მისი შემოქმედება მდიდარია ქართული სოფლის ფერადოვანი სურათებით; მან გამოამზეურა ორი საუკუნის მიჯნაზე მყოფი გლეხკაცის სოციალური თუ ფსიქოლოგიური სატკივრები; ამ "გლეხური ციკლის" ნოველებში იგრძნობა ხალხოსნების შემოქმედებიდან გადმოსული ინერციის ძალაც, მაგრამ მწერალი ახერხებს სოფლის თემაზე თვითმყოფად მხატვრულ ფასეულობათა შექმნას, სადაც, მართალია, სოფლის ყოფისა და კოლორიტის, გლეხის ფსიქოლოგიური კარგი ცოდნა მჟღავნდება, მაგრამ აშკარაა ფერთა ჩამუქების, განგებ დათალხვისა და კვლავ და კვლავ ადამიანის სულის გახსნისაკენ ერთგვარი გადახრაც. ტიპიურად უნდა ჩაითვალოს "ადე, ჩამოვიდა", "ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო" (ორივე 1893), "და-ძმა", "ღვინის ქურდები", "დიდი დედა მარიამი და ხატაურა", "ოლოლოები" და სხვა. თავისებურად დასვა მწერალმა სიყვარულის საკითხი. მოპასანის კვალად, რომელსაც იგი თავის მასწავლებლად თვლიდა, სხვადასხვა ასპექტში წარმოგვიდგინა სიყვარულის მარადიული თემა; მან შექმნა როგორც ზნეობრივად ფაქიზი, ისე მდაბალი გრძნობების მქონე, ანგარებით, სიყალბით შეპყრობილ ადამიანთა საინტერესო სახეები, მთელი სიმწვავით წამოჭრა ოჯახის რღვევის საშიშროების პრობლემა ("მოგვილოცნია ახალი წელი", 1892; "ყველაი დავკარგე", 1892; "ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა", 1895; "...ხითხითებს და ხითხითებს", 1896"...მხრებიღა ავიჩეჩე", 1896 "წერილის ნაგლეჯი", 1897 "... სულ ერთია", 1897; "ბალღი ყოფილხარ!",1899; "გიული", 1899 და სხვა).

Judas Iscariot

(Passover Skit)

(Trasnlated by Konstantine Kardava)

I

" You brought me this man as the one who was inciting the people to rebellion. I have examined him in your presence and have found no basis for your charges against him. Neither has Herod, for he sent him back to us; as you can see, he has done nothing to deserve death. Therefore, I will punish him and then release him", - Pontius Pilate was addressing the mob with a mighty voice and casting a glance at pale Jesus, wearing the Crown of the Thorns and absorbed deep in thoughts.

He didn't care about this judgement, as if it didn't concern his life. He was looking downwards with his gloomy eyes and praying to God to forgive his persecutors of their sin.

The throng, instigated by the Pharisees, was shouting in response to the prefect of Judea:

- He is a tempter!.. He corrupts and perverts people!.. He is against Caesar!..

- Listen to me, this man is innocent and all your tales are just aspersions and calumnies!..

-As it seems, you're against the Roman Emperor too, as you try to release this insurgent ,

seeking the emperor's throne!" - shouted high priests and pontiffs from the crowd. The crowd took these words and they all shouted with one voice:

- Ha! You're also against Caesar!.

Pilate was put out of countenance. He didn't expect to be calumniated too. " - This crowd will use any means to destroy a victimized man, - involuntarily thought scared Pilate, - And may be they will overthrow me too. " Desperate Pilate bowed his head and lost hope to release Jesus.

- People! - Pilate suddenly raised his head after a short-term grief and appealed to the throng with the joyful face, - The Holiday of Pesach is coming. According to our ancient tradition at the festival a prisoner must be released. You know that now we have a well-known prisoner Barabbas - the robber and murderer. Some days ago you mentioned his name with fear and terror. He spared neither man, nor woman. He was even an infanticidist. Who do you want me to release to you : Barabbas or this man?

- Release unto us Barabbas, Barabbas!.. - cried the crowd and this voice was heard as a far echo.

- Who?.. Barabbas?.. Just think, who are you asking to set free?.. - horrified Pilate asked the mob, but the blinded crowd kept on shouting:

- Release unto us Barabbas, Barabbas!..

- Then tell me, what shall I do with this man, whom you call " the King of the Judeans "? - asked them infuriated Pilate.

- Crucify him, crucify him!..

Pilate felt weak and took water.

- I am innocent of the blood of this just man: see ye to it!.. - Pilate washed his hands and whipped Jesus, as a sign that everything was finished and they could take Jesus to Golgotha to be crucified.

- His blood be upon us and our children!.. - admiringly cried the crowd and surrounded Jesus in order to beat him and bring him to Joseph Caiaphas.

- Ha, ha, ha, ha, ha!.. - Jesus heard this cruel, malicious laughter to the right side, when Pontius Pilate sentenced him to death by crucifixion according to the mob's demand.

Jesus knew this voice, which was much more offensive, than beating, flogging and lashing…

The laugh pierced his heart and he mercifully looked toward the side, from which this evil laughter was heard.

Two evil eyes, blazing with the Satanic triumph, met Jesus's gaze…

- Tempter, now if you can release yourself!.. - the blazing-eyed man shoot these words like arrows toward Jesus. He was hiding behind the people's backs, looking to Jesus with his glittering eyes, as though he was bewaring of something…

Jesus didn't take his eyes off him, looking steadily at him and wanted to say something, but he just shook his head instead of talking and two shimmering tears hang upon the eyelashes to fall down his pale cheeks.

- Haaa! - the man, standing on the opposite side, bent more, his snakish eyes flashed and he wanted to spell triumphant laugh to the tears of Jesus. He opened his mouth and only loss "ha" escaped him, since he couldn't stand to look at Jesus's eyes, and his evil laugh was broken. He immediately covered his face with a veil and turned back.

II

- Puh, disgusting creature, how did he gaze at me?!. Why did I give a start?!. Ha! Ha! Ha! He made me be silent like a child and turn back. It's magical, truly magical… He enchanted Pilate too… He tried to set Jesus free… He was also bewitched… Oh, Mary, Mary, how did that tempter bewitch you and beguile your eyes in order to… to… But let him bewitch people now, when he is crucified on a cross… Mary, then you'll be convinced that he was just a disgusting liar… Oh, I was so scared, when Pilate tried to release him… If he had set him free… No, it was just impossible!.. Even if celestial beings had come down from heaven to save him, they wouldn't have taken him away from Caiaphas… You have to die on the cross and you'll die!.. - the veiled man was mumbling and cleaving the throng to come to the edge…

The crowd was shouting. Their joy knew no bounds. Everyone tried to approach Jesus wearing the Crown of Thorns to offend him and show resourcefulness to make the crowd laugh. Exhausted Jesus was calmly going after the Roman legions, wending their way toward the Holy Temple, where Caiaphas and other cassocked chief priests were waiting for him…

The crowd made the Roman legions stop several times. The houses along this street were full of people of all ages. Legionaries were obliged to lash with a whip to cleave through the throng and mend slightly their pace…

- Whom am I hiding from? What am I afraid of that I cover my face with the veil?! - proudly said the veiled man, when he reached the throng's edge and started to observe crowd moving from a free place. With these words he tore the veil from his face and threw it far…

- It's Judas, the pupil of Jesus, who betrayed his teacher. Now look how shamelessly he feasts his eyes on the torture! - a young man showed another one Judas and joined the throng.

The second young man slowed down his pace and stared at him with a fixed gaze. Judas didn't stand this in-tent look, squirmed and turned his face away from him. The young man disdainfully spat at him and went past.

When the first young man showed the second one him, it went through his hurt like a spear, and the spitting pierced his heart.

- He betrayed his teacher for thirty pieces of silver, - said others and went before his very eyes…

- Thirty pieces of silver!.. Who has given away this?! - mumbled he and immediately left the street.

As he didn't find his veil, he covered his head with his cloak and went almost running through the street turns…

- The chief priests won't be ungrateful. They will patronize me and make the mob be silent… These people are ungrateful! They are glad because of the death of Jesus, but at the same time they blame and condemn me. I've given them this joy and they're spitting at me!.. " - talking Judas to himself, tightly wrapping himself in a cloak.

He quickly ran across the streets. Nobody met him on his way. As soon as he reached the Temple of Jerusa-lem, he entered the Great Hall.

The blue ceiling, studded with golden stars, was resting on seventy porphyry columns, covered with pure gold. There were also golden oil lamps, girandoles and chandeliers. At first glance the noble pontiffs, high priests and Pharisees, covered with gold mantles, were dazzling eyes. The same thing occurred to Judas. He stopped at the door for a short time. As his eyes grew accustomed to the bright light, he came before Caiaphas.

- Is there any news, Judas? - asked him Caiaphas. Judas was out of breath from running.

- Peace be upon you!.. Pilate sentenced Jesus to be crucified and now he's being brought here.

- We know about this… Does this event make you glad, Judas?

- Yes, it makes me glad, but…

- But what?..

- I… People call me the betrayer…

- They don't lie, do they?
- They claim that I had betrayed my teacher for thirty pieces of silver…
- It's also truth, isn't it?
- They spit on me in disgust… I can't go out without a veil…
- What is that to us?... If you had not committed this shameful deed, nobody would scold you…
- What?! - cried Judas and his eyes blazed, - You must…
- We have done our duty. You received all thirty silver coins, didn't you? - interrupted him Caiaphas and ro-se.
- Take back your silver!.. - Judas threw thirty pieces of silver at the chief priests and gazed at Caiaphas as though he called him out.
- Judas!.. Get away!..
- I will go to Pilate right now and tell him that you are going to shed innocent blood!
- It's too late.
- Is this your gratitude, villains?! I gave you the strolling swindler, and you… It appears that you are more stupid vagrant fools!.. - cried Judas and turned his back on them…
- Scoundrel, we will give what for… - cried Caiaphas and began panting. At this time other priests were sha-king their heads with displeasure.

III

The pupils weren't losing hope until the last minute. They thought that Jesus voluntarily yielded himself into his enemies' hands, nailed to the cross in order to make a powerful influence by a sudden deliverance from this brutal torture. They thought that it was easy for Jesus to perform miracle and appear as a King. But Jesus died. He was even buried and now…

Everything was over. The pupils were disappointed. They dispersed and didn't trust people. How could they imagine that Jesus, who had been living with them for three years and was never noted to tell even one tiny lie, failed in his power?!. Their belief was shaken and at first they were like walking dead men… And a great misfortune befell upon these unfortunate outcasts - the chief priests commanded to take them prisoner. Now they couldn't even get together and explain this phenomenon to each other to exchange their ideas. They were at last obliged to seek asylums. Some of them lived in the Judean Desert just like wild beasts, while others were hiding in Jerusalem, with their relatives.

John the Apostle was also in the city and hiding in the house of Mary - a very pretty woman and a follower of Jesus. Both were mourning for their orphanization and blaming heaven. Mary's father was comforting and consoling both…

A young man came at midnight and told that Caiaphas had learnt the presence of John and it was possible for him to attack them at this night to take the Apostle as a prisoner. “ - It’s necessary to run away, - added he, - in order to save yourself. “

The young man and Mary’s father immediately took John out for new place to hide. Mary locked the door from the inside and started to wait for her father.

- It’s time now! - joyfully shouted the cloaked man and knocked at the door.

- Who is this? - asked him Mary from behind the door.

- It’s me, open the door!..

- How can it be! Is it you?! How dare you come here, you damned?!

- Mary, Mary!.. Please don’t curse at me, open the door!.. I’m also a…

- Go, go, you are a traitor, you are a betrayer!..

- Tell me Mary, whom did I betray?! It was not you! Now you saw that he was a liar and didn’t deserve your love, but… Open to me the door and I will tell you everything in details. Let everybody spit on me and hate me, except you!..

- Oh, you cursed creature!.. Be destroyed, don’t defile my home!..

- Mary, don’t hurt my feelings, please!

- Cursed be your feelings and you too!

- Open the door, or I will come by force and it will get worse! - wrathfully cried Judas and started shaking the door.

- Don’t you dare, or my sword will pierce your heart, as soon as you cross the threshold!..

- We’ll see it, - shouted Judas, shaking the door more brutally.

- Villain!.. Cursed be thy name and let every nation mention it loathfully throughout all ages!..

- Aaa!.. - clamoured Judas out of doors and sprang back, - What are you doing here?!

Judas was bawling and running. Amazed Mary didn’t know how to explain Judas’s flight and yell.

IV

- Tempter, liar!.. You were executed, you were crucified on a cross and a stone was rolled against the en-trance of your tomb?!. - he attacked Jesus, who appeared to him at twilight with an exhausted look. He was slightly shaking his head. Two tears were twinkling in his eyes…

He was roaming about in the desert all day long. He bewared of everyone. He was going from one place to another with the quickness of a gazelle. When dusk fell, he was going to go to Mary’s house to rest his tortured soul next to her. Exactly at this time Jesus appeared to him.

- While you were still alive, your face was always interfering with me. Now you are dead, but you don’t leave me even after death?! Why?.. You were buried yesterday, weren’t you?.. Get away from me, you cursed, depart from me!.. - shouted Judas and unsheathed his sword.

- Get away from here or I will kill you again with this sword! - he attacked, taking steps towards Jesus. But Jesus was glancing at him and slightly shaking his head. Two teardrops were sparkling in the corners of his eyelids to fall on his cheeks.

- Oh, you cursed!.. - shouted he, firmly closing his eyes and threw his sword towards Jesus…

At evening the wan light was turned to darkness and everything was cloaked in gloom.

- Judas, betrayest thou the Son of man with a kiss?! - Jesus's mournful and merciful voice reached Judas's ears.

- What?! Ha, ha, ha, ha! - he opened his eyes wide and gazed around. He saw that there was no man and be-gan to laugh boisterously.

- Judas, are you betraying the son of man with a kiss?! - he heard again the merciful and wistful voice from the other side.

- Aaa!.. You yellow-bellied coward!.. My sword scared you and now you're surreptitiously talking to me! - he spelled out the evil laugh and went to take a sword. He wanted to make this voice vanish by throwing his sword, as he made Jesus's face disappear…

- What do you want?! - Judas shouted pitifully and turned back so strongly that he almost fell down.

Where was he running? - He didn't even know it. He was running headlong and afraid of glancing back. He wished he ran eternally and Jesus wouldn't appear to him anymore.

But… Oh! He's leaning against the tree trunk and not tearing his eyes away from him. It's he… It's he…

- Ah!.. - a desperate yell escaped Judas's lips.

He became weak at his knees and unconsciously prostrated himself on the ground…

- What you are about to do, do quickly! - these words sobered Judas up and brought him from un-consciousness back to life.

- I did it quickly and even so quickly that you just didn't expect… You wanted… You're looking from the bowels of the earth?! Ah?! You are beneath me!.. I will tear you to pieces!.. I've lost my sword, but I will bite you, I will scratch you with my nails!.. - Judas started scratching the ground with his teeth and nails. He was growling for a long time.

- Ha, I devoured you, didn't I?!.

The ghost left him. Jesus disappeared. Judas got up and stood erect.

Dark, bloodied face and glowing eyes were giving Judas the horrible appearance…

Having stood up straight, Judas fixedly stared at the space…

- Mummy, mummy, why are you looking at me so cruelly?!. You are also turning me down, aren't you?! Ah! Ah! Ah!.. - he covered his eyes with the hem of his cloak, genuflected and began to weep aloud…

- Believe in him, my son… He is Son of God! - answered him the ghost.

- How can it be?!. Do you also say this?!. So, you're not my mother! If you rose from your grave to tell me this, you'd better turn back and rest your weary bones. Get away, get away… - crying over the ghost, he jumped to his feet and took some steps towards her.

The phantom disappeared. Judas also breathed freely. He thought that he would finally win, but the voice heard unexpectedly:

- Judas, look where he is hiding! He betrayed his teacher and now he conceals himself.

- I’m hiding!.. No… no! I’m not hiding!.. I’m not like other pupils to hide, I’m here!.. - cried he and came forward.

- Other pupils suffer persecution and you, betrayer, aren’t scared!..

- Me?..

- But…

- But what?!

- You also will be crucified!..

- Ha, ha, ha!.. I will be crucified? No, it won’t happen!.

Suddenly he heard the sound of steps behind him, for which he trembled like a leaf and looked towards the side, from which this voice had come.

- Judas, Judas, now there is nowhere you can hide!.. Ha, ha, ha!.. Aren’t you scared?!

- Me… me… thirty pieces of silver?!. No, no!.. I won’t let you crucify me! No, I won’t die in such a disgu-sting way!.. - Judas shouted to the crowd with hoarse voice and immediately climbed up into the tree, and he threw the club towards the throng.

He immediately took off his belt, tied it to a branch of the tree, looped it and…

- Shrrr!.. - the tree stooped down and the leaves started rustling.

The birds woke up by this sudden rustling and directlessly flew over the Garden of Gethsemane.

The tree was shaking for a long time, branches were creaking and sometimes a wheeze was heard.

At this time Mary Magdalene, Mary the mother of James and other women with perfume, going towards the Tomb of Jesus and talking calmly, passed by this tree, but they didn’t notice Judas’s body hanging from the tree…

რადიარდ კიპლინგი

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი ინგლისელი მწერალი, პოეტი და ნოველისტია. მოღვაწეობდა 1865-1936 წლებში. მისი ნაწარმოებების მდიდარმა ენამ, მეტაფორების სიუხვემ, დიდი წვლილი შეიტანა ინგლისური ენის საგანძურში.

რადიარდ კიპლინგის შედევრი ,,თუ'' პირველად მის კრებულში - ,,ჯილდოები და ფერიები'' გამოჩნდა 1909 წელს.ლექსი შთამაგონებელი და მოტივირებულია.იგი შეიცავს მთელ რიგ ჭკუის დამრიგებელ მოწოდებებს, რომლებმაც სწორი გეზი უნდა მისცეს ახალგაზრდობას კაცად ჩამოყალიბებაში. ,,თუ'' ქართულ ენაზე პირველად მურმან ლებანიძემ თარგმნა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მაია ნათაძისა და კოტე ყუბანეიშვილის თარგმანები მოჰყვა. მას შემდეგაც არ კარგავს ეს ნაწარმოებები აქტუალურობას. თანამედროვე ეპოქაში ბევრი მთარგმნელი ცდილობს შეექმნას ამ ლექსის თავისებური თარგმანი. ასევე ტარდება სპეციალური კონკურსები ამ ლექსის საუკეთესო თარგმანების გამოსავლენად. მისადმი ასეთი ინტერესი ალბათ გამოწვეულია იქ წარმოდგენილი რჩევა-დარიგებების სიღმისა და მათი გადმოცემის მხატვრულობის გამო. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენც, რომ ეს ლექსი გვეთარგმნა. გვინდა ამ ლექსის ჩვენმა ვერსიამ კიდევ უფრო გააღვივოს ხალხის ინტერესი და რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიცნოს ეს უნიკალური შედევრი და მისი ავტორი, რადგან მასში გადმოცემული რჩევები ყველა დროში ერთნაირად მისაღები და გასათვალისწინებელია.

თუკი

(თარგმნეს ნათია კაღაშვილმა და თამთა ხუციშვილმა)

თუ კი შენ ძალგიძს გატანა თავის,
როდესაც ირგვლივ სუყველა ტყდება.
თუ კი შენ გჯერა საკუთარ თავის,
მაშინ, როდესაც ბრალს შენ გდებს ყველა.
თუ შეგიძლია ელოდო ისე,
რომ ამ ლოდინით არ იგრძნო დაღლა,
თუ შეგიძლია არ თქვა ტყუილი,
როს გახვევია სიცრუის ფარდა.
თუ სიძულვილით გეპყრობა ხალხი
და შენ ამ გრძნობის ყველა გზას კეტავ,
შენზე არ ითქმის ჯერ კიდევ კარგი,
ჯერ დიად სიბრძნეს მაინც ვერ ჭვრეტავ.
თუ შეგიძლია ოცნებით დათვრე
და ამ ოცნების მონა არ გახდე;
თუ შეგიძლია ფიქრებში ჩაძვრე,
მაგრამ ამ ფიქრებს სრულად არ აჰყვე.
თუ შეგიძლია თანაბრად დახვდე,
როგორც მარცხს, ისე მაღალ მწვერვალებს,
შენი სიმართლის მსახურად დარჩე,
როს სურთ წახდენა მისი მტარვალებს.
ხედავდე შენი ნაღვაწი მთელი
წყალში ჩაყრილა და გაბნეულა,
ეცემი, მაგრამ ხელახლა დგები;
აშენებ ისევ, რაც დანგრეულა…
არასდროს აჰყვე დარდს დანაკარგზე
და მოიკრიბო მთელი ძალები,
რომ არ დაეცე გზის გასაყარზე,
რომ არ დაკარგო ფუჭად წამები.
და როცა შენ ხარ სულ გაძარცვული,

და გრჩება მხოლოდ სურვილთა ქარგა,
შენ სურვილებით ხარ გამართული,
თითქოს თავიდან იხსნება ფარდა…
თუ შეგიძლია, რომ იყო ხალხთან
და თან იცავდე მედგრად ღირსებას,
ან სეირნობდე მეფესთან მხარ-მხარ,
გლეხთან კი მღერდე მისსავ სიმღერას.
თუ არც მტრებსა და არც მოყვარე ძმებს
არ შესწევთ ძალა გული გატკინონ,
თუ მეგობრობის სთავაზობ შენ გზებს,
თუმც გულს არ უხსნი, რომ არ გაგქიქონ…
მიუტევებელ უმოქმედობის
თუ შეგიძლია შეავსო წუთი,
ფუჭი წამების ამაო ქროლვის
საშიშროებას დაფარავს შუქი.
მაშინ მიხვდები, რომ გაიმარჯვე
რომ შენი არის მთელი სამყარო
და მაშინ კაცად შენ იწოდები,
შენ! ღირსეულო ჩემო ვაჟკაცო!..

რობერტ ბერნსი



რობერტ ბერნსი არის პოეტი და შემოქმედი, რომელიც შოტლანდიის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად ითვლება, რომლითაც ამაყობენ და რომელიც დღემდე რჩება შთაგონების წყაროდ უამრავი თანამოაზრისათვის.

ბერნსი უფროსი იყო მრავალშვილიან ოჯახში, რომელიც სიდუხჭირეში ცხოვრობდა. უსახსრობის გამო მან ვერ შეძლო სასურველი განათლების მიღება. ცოდნის ძირითადი წყარო გახდა მამა-მან ასწავლა კითხვა, წერა, ისტორია და გეოგრაფია თავის შვიდ შვილს.მიუხედავად ამისა, ბერნსი მაქსიმალურად ცდილობდა ბევრი ეკითხა და ინტერესის სფეროები გაეფართოებინა.

1786 წელს მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა და ბერნსი აღიარეს რომანტიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი გავლენა მთლიანად ინგლისურ ლიტერატურაზე ძალიან მალე გახდა შესამჩნევი. ბერნსის დაბადების დღე, 25 იანვარი შოტლანდიის ეროვნულ დღესასწაულად მიიჩნევა და აღინიშნება. (Burns Supper).

წითელი, წითელი ვარდი

(თარგმნა მაგდა მარუაშვილმა)

ჩემი სიყვარული ვამსგავსე

ივნისის წითელ ვარდს

და ხმებად დაღვრილ სიმღერას

ჩემი სიყვარული ჰგავს.

ჩემი სიყვარული საოცრად ღრმაა,

ფაქიზი, ლამაზი სატრფოს-

ასე მეყვარება სანამ ბედისწერა

ზღვების ამოშრობას მამცნობს.

ჰო, მე მეყვარება წყლების დაშრობამდე

ქვების დადნობამდე მზეზე,

სანამ სიყვარულის ძალა მექნება

და ვივლი ამ ცხოვრების გზებზე.

და რომც მომიწიოს სადმე გადაკარგვა,

ჩემო ერთადერთო- წასვლა..

მოვალ, დავბრუნდები, მე არ შემაშინებს

წლების დაუთვლელად გასვლა. .

ჯორჯ ბაირონი



ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი დაიბადა ლონდონში, გაღარიბებული დიდგვაროვანი არისტოკრატის ოჯახში 1788 წლის 22 იანვარს.სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში. ბაირონის ლექსების პირველი კრებული "მოცალეობის საათები" 1807 გამოვიდა.

1811 გამოაქვეყნა პოემა "ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობის" პირველი ორი ქება, რომელმაც ბაირონს დიდი პოპულარობა მოუტანა. თავისი ყოვლისმომცველი მელანქოლიური განწყობილებით იგი ე. წ. „მსოფლიო სევდის" გამომხატველი პოეტი გახდა. ბაირონსვე ეკუთვნის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორებიცაა : "მანფრედი" (1817), "ბეპო", (1818), "კაენი" (1821), "მარინო ფალიერო, ვენეციელი დოჟი", "სარდანაპალი", "ორი ფოსკარი", " ირლანდიული ავატარა", (ოთხივე 1821), "სამსჯავროს ხილვა", (1822) და სხვა.

ბაიტრონის ტიპური რომანტიული პოემების გმირები საზოგადოებას მოკვეთილი ადამიანები არიან - ძლიერნი, ამაყნი, და დასაღუპავად განწირულნი.ბაირონი რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელია,ამასთანავე,მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი და ნოვატორი. XIX საუკუნის მრავალი ქვეყნის ლიტერატურაში ბაირონის პოეზიამ წარმოშვა თავისებური მიმდინარეობა, რომელსაც ბაირონიზმი ეწოდა.

დრამატულია ბაირონის ლექსების ციკლიც "ებრაული მელოდიები" (1814-1815), რომლებშიც ასახულია შემოქმედის შინაგანი განწყობილებანი. ჩემი არჩეული ლექსი- ,,მტირალი გნახე'',სწორედ ამ ციკლიდანაა.

მტირალი გნახე

(თარგმნა თინათინ ბერულავამ)

მტირალი გნახე, ვიხილე ჩემო

მაგ ლურჯ თვალთაგან ცრემლების ცვენა,

ო, როგორ გავდა შენი სახება

იას, დანამულს, ცვარ-ნამთა დენას.

მე დავინახე ღიმილი შენი

საფირონმაც კი შეწყვიტა ელვა,

ვერვინ დაჩრდილა ეგ სიკაშკაშე,

ამაო იყო მნათობთა ღელვა.

მარი ჯოზეფი



მარი ჯოზეფი თანამედროვე, ნაკლებად ცნობილი ინგლისელი ავტორია, რომელიც ძირითადად მოთხრობებს წერს. მისი ნაწარმოებები რეალისტურია და დიდი ოსტატიობითა და სიღრმით ასახავს ოჯახურ ცხოვრებას. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალის ბუნებას, მის ფსიქოლოგიას.

მან წერა შეარებით გვიან 40 წლის ასაკში დაიწყო და გასული საუკუნის 70-80-იან წლებში რამდენიმე მოთხრობათა კრებული და რომანი გამოაქვეყნა, რომელთაგან ერთერთმა ,,ამაზე უკეთესი სამყარო'' (1987) წლის საუკეთესო რომანტიკულო რომანის ჯილდო მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ მარი ჯოზეფს აქვს გამორჩეული ცხოვრებისეული ხედვა, თავისი გამოკვეთილი ხმა და წერის მანერა, იგი სრულიად უხნობი ავტორია საქართველოში. ჩემი არჩევანის მიზეზიც სწორედ ეს არის: მინდა ამ თარგმანის წაკითხვის შემდეგ მკითხველს სურვილი გაუჩნდეს წაიკითხოს მისი სხვა მოთხრობებიც.

ამ კრებულში დაბეჭდილი მოთხრობა ,,შესაფერისი დროის მოლოდინში ''ფაქიზად და საინტერესოდ გადმოგვცემს ახალგაზრდა ოჯახის ერთ დღეს.

შესაფერისი დროის მოლოდინში

(თარგმნა სოფიო თოთიბაძემ)

ჩვენ შვილს, ჯოს, საერთოდ არ უყვარს აზროვნება. სკოლიდან გამოგზავნილ ანკეტაში წერია, დაუდევარი და უყურადღებოაო. რა თქმა უნდა, ამის გამიზნულად აკეთებს. ურჩევნია მთელი დღე, ოცნებაში გართული, საკლასო ოთახის ფანჯარაში იცქირებოდეს.

სახლში რომ არის, მთელი დღე ფანჯრისკენ არც კი გაიხედავს. აი, ახლაც სასტუმრო ოთახშია და, იქიდან გამოსული ხმაურიდან ვხვდები, მაგიდაზე უნდა ცეკვავდეს. იმედია, მამამისს, რომელიც ყოველკვირეული გაზეთით ცხვირზე აფარებული თლემს, არ გააღვიძებს. ხელში პატარა მიჭირავს, ვერ ვდგები, რომ გავაჩუმო, თანაც, ვაი რომ, უკვე გვიანია.

–იცი ჯო რას შვებოდა?–მეკითხება ბრაზისაგან აჭარხლებული მამამისი,–მაგიდაზე, თითქოს ბატუტიაო, ისე დახტოდა, თანაც იმ ახალი ფეხსაცმლებით, ამდენი რომ დაგვიჯდა.

–ხო, ალბათ მაგიდაზე მეტიც კი,–ჩავილაპარაკე, თუმც მაშინვე მივხვდი, ჩემი ხუმრობა უადგილო რომ იყო.

–თან, იცი, თავი რითი გაიმართლა? ვერ მიხვდა ბიჭი რომ აფუჭებდა! ექვსი წლის ბიჭის კვალობაზე განუვითარებელი ხომ არ არის, ჰა? რას ფიქრობ?

მამამისს ჯერ ჯოს სკოლის ანკეტა არ უნდახავს. შესაფერის მომენტს ველოდები, რომელიც არ იქნა და არ დადგა.

- მინდორში სასეირნოდ წადით, რაა? –ვთავაზობ-ექვსი წლის ბავშვს მოსწყინდება , აბა რა იქნება, კვირა დღეს, სახლში, ორ უფროსთან და ჩვილთან ერთად ყოფნა. თან ხომ გახსოვს, პატარა რომ გაჩნდა, რა რთულად გადაიტანა...

არ გამომპარვია, როგორი მონატრებით გახედა ჩემმა მეუღლემ ირგვლივ მომოფანტულ გაზეთის ფურცლებს და თითქოს შემრცხვა კიდეც. მთელი წინა კვირა ხომ გლაზგოში გაატარა, ყველა დამხვედრის გულის მონადირებაში. შეკვეთებით სავსე ჩემოდნიტ დაბრუნდა. მომავალ კვირას კი ბირმინგემში უწევდა წასვლა. იმავე საქმეზე. უსამართლობაა. ხომ შეეძლო კვირა საღამო მაინც თავის გემოზე გაეტარებინა.

–წვიმას აპირებს, ამბობს ჯოს მამა, მაგრამ, ხასიათიდან გამომდინარე, რამდე ნიმე წუთში უკვე სახლიდან გადიან. ჯო, რა თქმა უნდა, შარვლიდან ამოჩაჩული პერანგით მიბობღავს ჭიშკარზე და რამდენიმე წუთში უკვე ხეივანს მიუყვება. მე მძინარე პატარას

სახეს ვაკვირდები და ჩემ თავს ვეუბნები, რომ ძალიან მალე ესეც თავის ძმასავით ირბენს მთელ სახლში, წაიქცევა, კარებს მიაჯახუნებს, კიბეებზე იხტუნებს,მომატყუებს და აზროვნება მასაც დაეზარება.

–იქნებ შენ მაინც სხვანაირი იყო,–ვეუბნები პატარას, თან საწოლზე ვაწვენ,–იქნებ შენ თითით საჩვენებელი იყო , სამაგალითო, მასწავლებელს თვალი არ მოაშორო. ხომ შეიძლება ისეთი ხოტბა–დიდებით სავსე ანკეტები მოიტანო, რომ სამზარეულოშიც კი დავტოვო განგებ, მეგობრებისათვის საჩვენელად.

პატარა ცალ ძილმორეულ თვალს ახელს, თითქოს მეკითხება, ვის ეხუმრებიო. საბანს ვუკეცავ და ოხვრით გავდივარ საძილე ოთახიდან. შევდივარ მეორე ოთახში და წყლის მადუღარას ვრთავ. ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ ცენტრალური გათბობისათვის ფულის შეგროვება. შემდეგ ჯოს ვუმზადებ ჩაის, სენდვიჩებს და თვალში მეჩხირება საჩაიეს უკან დამალული სკოლის ანეტა. თუ ჯო როდესმე ანგელოზივით მოიქცევა, რაც კვირაში ერთი–ორჯერ თუ ხდება, გამოვიღებ ამ ანკეტას და მამამისს ვაჩვენებ. იმასაც გავუსვამ ხაზს, რომ , როგორც ამბობენ, ჯო ერთ–ერთი ყველაზე პოპულარული ბიჭია სკოლაში. რა თქმა უნდა, ჯობს ისეთი ბიჭი გაზარდო, რომელიც თავის თანატოლებს მოსწონთ, ვიდრე იდეალური, მაგრამ არაპოპულარული ბავშვი. როდესაც კარის გასაღებად დაბლა ჩავდივარ, გაოცებისაგან პირი ღია მრჩება. ის სურათი, რომელიც თვალწინ მედგა, ნელ–ნელა ფერმკთალდება და ქრება: ჩემთვის განკუთვნილი მინდვრის ყვავილებით ხელში, სასიამოვნო გასეირნების შემდეგ ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული კო მამამისის გვერდით დგას.

–სანამ გავაჩერებდი, მანამდე შეტოპა მდინარეში, რა თქმა უნდა, დაუფიქრებლად. აი, წინდები!–ჯოს მამა ჯიბიდან იღებს ორ წინდას, რომელიც ორ თოკს უფრო ჰგავს და სამზარეულოს მაგიდაზე ალაგებს მათ.

–ფრთხილად, სენდვიჩები,–ვეუბნები მე და მისგან ისეთი სიტყვა მესმის, რომ იმედს ვიტოვებ, ჯოს ყურს არ მიწვდენია.

დიახ, ლამაზი ყავისფერი, სქელლანჩიანი ტყავის ფეხსაცმელები! იმ თანხით, რაც ცოტა ხნის წინ ეს ფეხსაცმელები დაგვიჯდა, ერთი კვირსა ოჯახს გამოკვებავდი.

–დიდი არაფერი კი არ დაუშავებია,–ამბობს ჯოს მამა, როდესაც ბრალდებულს მაღლა ვაგზავნით ტალახიანი ფეხების დასაბანად.–სანამ პატარას მიხედავ, მე ამათ გავაშრობ, შემდეგ კი ტალახს მოვაცილებ. ბავშვი რომ ტირის, არ გესმის?

–რატომ ჩაიდინე ეს?–ვეკითხები ჯოს, თან ვცდილობ ფრჩხილებიდან ჭუჭყი მოვაშორო.–რა აუცილებელი იყო ახლა ამ ახალი ფეხსაცმლით ტალახში შეტოპვა?

ზუსტად იმ პასუხს, რომელსაც ველოდი, არც დაუგვანია:

- ეგ კი არ მიფიქრია, დე.

ვახშმის შემდეგ ჯო მეორე სართულზე ამოდის და მეხმარება პატარა ძამიკოს დაბანაში. სახეზე ისეთი სიამაყე და ძმისადმი ისეთი სიყვარული აქვს აღბეჭდილი, რომ გული ყელში მებჯინება. შემდეგ მთავაზობს, პატარას მე ვაჭმევო და იქვე ჯდება, პატარა სკამზე, თან ცდილობს, საწოვარა სწორად დაიჭიროს. ვეუბნები, არა უშავს, მამა გაგიწმენდს ფეხსაცმელს და ახალივით იქნება–მეთქი. პატარას ისევ ვუკეცავ საბანს და უცებ რაღაც უცნაურსა და მძაფრ სუნს ვგრძნობ, რომელიც სუნთქვას მიკრავს და დაბლა მიმარბენინებს. სასტუმრო ოთახში შეხედვისას უჩვეულოს ვერაფერს ვამჩნევ. თითქოს სიმშვიდეა, ჯო მამასთან ერთად უყურებს ცხენების ცეკვას შავ–თეთრ ტელევიზორში.

–რაღაც იწვის,–ვამბობ მე, სამზარეულოში შევრბივარ და რას ვხედავ–გამაცხელებელზე აწყვია ერთი წყვილი ახალი, ძვირადღირებული ფეხსაცმელი, რომელის ლანჩებიც ნელა, მაგრამ აშკარად, თვალსა და ხელშუა, დნება. ფეხსაცმლის გადასარჩენად მივექანები, მაგრამ უკვე გვიანაა. როგორც თოვლი მდინარეში, ბერნსის სიტყვების არ იყოს, ესენიც უკვე წარსულს ჩაბარდა. ფეხსაცმელს ხელში ვიღებ, არ ვიცი ვიტირო თუ ვიცინო.

ჯოს მამაც შემორბის სამზარეულოში და სახეზე თანაბრად აწერია შიში და სირცხვილი. ფეხსაცმლის ლანჩას ფრთხილად სინჯავს. თავს სევდიანად აქნევს.

–მაპატიე, ძვირფასო,–მეუბნება, –არც კი მიფიქრია.

საჩაიეს უკან საგულდაგულოდ დამალულ ჯოს სკოლის ანკეტისკენ ვიხედები. დანამდვილებით ვიცი, რომ ზუსტად ის დროა, რომელიც შემიძლია იგი ჩემ მეუღლეს წავაკითხო.

ოლდოს ლეონარდ ჰაქსლი



ოლდოს ლეონარდ ჰაქსლი ინგლისელი მწერალი გახლავთ. 20-იან წლებში იდეური პოზიციით ახლოს იდგა 'დაკარგული თაობის' მწერლებთან. მას ეკუთვნის მრავალი რომანი, ისტორიული ბიოგრაფია, მოთხრობა, ესე. სიუჟეტური ქაოსურობით, პერსონაჟთა აღრევით ის ქმნის იდეას, რისი გადმოცემაც მას ასე სურდა. მისი რომანის „დრო უნდა გაჩერდეს" წაკითხვის შემდეგ დავინტერესდი ამ მწერლით, ჰაქსლი ნაკლებად ცნობილია, მაგრამ ძალიან საინტერესო და ჟანრობრივადაც განსხვავებული.

გავეცანი მის მოთხრობასაც, სახელწოდებით „ფერუმარილი", რომელშიც მწვავედ დგას ქმრისა და ცოლის ურთიერთობა, გაუთავებელი გაუგებრობა, უსიამოვნება, ჩხუბი, ორი სხვადასხვა სტატუსის მქონე ქალბატონის დამოკიდებულება, ადამიანური ურთიერთობები. მოთხრობა მდიდარია ასევე სხვადასხვა სტილისტიკური ხერხებით, რაც უკეთ წარმოგვიდგენს პერსონაჟებსაც და მათ ხედვებს.

ფერუმარილი

(თარგმნა სოფიო გვრიტიშვილმა)

ისინი დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში ჩხუბობდნენ. მოგუდული და გაურკვეველი ხმები დერეფანშიც გამოდიოდა. წელში მოხრილი, საკერავ მანქანასთან თავჩარგული სოფი ფიქრობდა, უწადილოდ, რის გამო ატყდა ამხელა აურზაურიო. უმეტესად ქალბატონის ხმა ესმოდა. ბრაზისაგან სუსხიანი და ცრემლიანი, უეცრად მოსული კოკისპირული წვიმასავით ურტყამდა. ბატონი თავს კონტროლს უწევდა, ბოხი ხმა გაჭირვებით თუ აღწევდა დახურულ კარებს მიღმა, დერეფანში. თავის ცივ ოთახში მყოფ სოფის ჩხუბის ხმა უმეტესად ესმოდა როგორც ქალბატონის დაუსრულებელი მონოლოგების წყება, რომელსაც უცნაური და ავისმომასწავებელი სიჩუმე ენაცვლებოდა ხოლმე. დროდადრო ბატონი თითქოს მოთმინებას კარგავდა და მაშინ, რისხვის კორიანტელში, სიჩუმეს უხეში, ბრაზიანი ყვირილი ენაცვლებოდა. ქალბატონი კი გაუჩერებლად ყვიროდა.. მის ხმას გაბრაზების დროსაც თან სდევდა გამყინავი სუსხი და საოცარი მონოტონურობა. ბატონი ხან ხმამაღლა საუბრობდა, ხან ნელა, გარკვევითა და მელოდიურად, ხან კი უეცრად იფეთქებდა ხოლმე. მისი პარტია ამ შეტაკებებში, თუკი საერთოდ ისმოდა, აფეთქებათა ცალკეულ სერიებს ჰგავდა, . ვავ, ავ, ავ, ავ – ძაღლის შენელებულ ჰყეფას.

გარკვეული დროის შემდეგ სოფი ყურადღებას აღარ აქცევდა ჩხუბის ხმებს. ქალბატონს პენუარს უკემსავდა და, სამუშაოთი გართულს, აღარც კი ესმოდა , რა ხდებოდა მის გარშემო. ძალზედ დაიღალა, მთელი ტანი ტკიოდა. რთული დღე იყო, ისევე როგორც გუშინ, გუშინწინ. ყოველი დღე რთული იყო და თავად კი აღარ იყო ისეთი ახალგაზრდა, როგორც ადრე– ორი წელიც და ორმოცდაათს მიუკაკუნებდა.რაც თავი ახსოვდა, სულ რთული ცხოვრება ჰქონდა. მოაგონდა, როგორ მიათრევდა კარტოფილის ტომრებს, როცა ჯერ კიდევ პატარა გოგო იყო. ნელა მიუყვებოდა მტვრიან გზას, მხარზე გადაკიდებული ტომრით. ათი ნაბიჯიც და.... უმკლავდებოდა, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანდა, ყოველთვის ხელახლა იწყებოდა ხოლმე.

საკერავს თვალი მოსწყვიტა და ზემოთ აიხედა, თავი ხან ერთ მხარეს მიატრიალა, ხან მეორე მხარეს და თვალები დაახამხამა. თვალწინ ბრჭყვიალა ფერები აუთამაშდნენ. ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა მის თავს. მოყვითალო, ბრჭყვიალა ჭიაყელა მიხოხავდა ზედა მარჯვენა კუთხისკენ და სულ ზემოთ და ზემოთ მიიკლაკნებოდა, თუმცა იმავე ადგილას რჩებოდა. მოწითალო და მომწვანო ვარსკვლავები ტკაცუნობდნენ, ანათებდნენ და აფერმკთალდებდნენ ჭიაყელას ირგვლივ ყველაფერს. ვარსკვლავები მოძრაობდნენ

მასსა და საკერავ მანქანას შორის და როცა თვალებს ხუჭავდა, ნაპერწკლები არ ქრებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სოფი კვლავ სამუშაოს დაუბრუნდა. ქალბატონს თავის პენუარი ხვალ დილისთვის სურდა. მაგრამ სოფის ხედვა უჭირდა.

უეცრად ძლიერი ხმაური გაისმა დერეფნის ბოლოდან. კარი გაიღო და სიტყვები გარკვევით მოისმა:

– ... ძალიან ცდები, ჩემო მეგობარო, თუ გგონია, რომ შენი მონა ვარ. რასაც მინდა, იმას ვიზამ!

– მეც, ასევე.

ბატონს მჭახე, ავისმომაწავებელი სიცილი წასკდა.. გასასვლელში ნაბიჯების ხმა მოისმა, ქოლგის საკიდთან რაღაც გაჭახუნდა, შემდეგ კი ამას კარის ბრახუნიც მოჰყვა.

სოფი კვლავ სამუშაოს მიუბრუნდა. ოჰ, ეს ჭიაყელა, ფერადი ვარსკვლავები, და სახსრებში აუტანელი ტკვივილიც იგრძნო. ნეტავ მთელი დღე ლოგინში წოლა შეძლებოდა – დიდ , ღუნღულა, თბილსა და რბილ საწოლში, მთელი დღე...

ზარის ხმაზე შეცბა. ზარმა, რომელიც მუდამაკრთობდა, გაშმაგებული ბზიკივით დაიბზუილა. ადგა, პენუარი სამუშაო მაგიდაზე დადო, წინსაფარი და ჩაჩი გაისწორა, წელში გაიმართა და დერეფანში გავიდა. ზარმა კიდევ ერთხელ საშინლად დაიბზუილა. ქალმატონი მოუთმენელი ჩანდა.

—როგორც იქნა, სოფი, ვფიქრობდი, საშველს აღარასდროს დაგადებოდა.

სოფიმ არაფერი უპასუხა. სათქმელიც არაფერი იყო. ქალბატონი ღია გარდერობის წინ იდგა. რამდენიმე კაბა ხელში ეჭირა, ნაწილი კი ზვინივით ეწყო საწოლზე.

– რუბენსის მზეთუნახავი,– მეუღლე ასე ეძახდა, როდესაც ის სასიყვარულო განწყობაზე იყო. მას მოსწონდა ძლიერი, შესანიშნავი, დიდებული ქალი. ვერ იტანდა აწოწილ, მოქნილ ქალებს.

–ელენ ფურმონი, ქმარმა მოფერებით შეარქვა.

– ერთ მშვენიერ დღესაც,– ეუბნებოდა ქალბატონი თავის მეგობრებს,– ერთ მშვენიერ დღესაც მე აუცილებლად წავალ ლუვრში და ვნახავ ჩემს პორტრეტს. იცი შენ, რუბენსის მიერ შესრულებულს. გასაოცარია, რომ მთელი ცხოვრება პარიზში გაატარო და არასდროს ნახო ლუვრი. შენც ასე არ ფიქრობ?

ამ ღამეს არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. ლოყები აწითლებოდა, ცისფერი თვალები კი საუცხოო სიკაშკაშეს ასხივებდნენ წამწამების ქვემოდან. მოკლე, მოწითალო–წაბლისფერი თმა მხრებზე ჩამოყროდა.

–ხვალ, სოფი, –თქვა ქალბატონმა ტრაგიკულად, –რომში მივემგზავრებით. ხვალ დილას. მან საკიდიდან ჩამოხსნა სხვა კაბა და საწოლზე დააგდო. მოძრაობისას ხალათი შეეხსნა, მშვენიერი საცვალი და თეთრი ხორცი გამოუჩნდა.

–ბარგი უნდა შევკრათ ახლავე.

–რამდენი ხნით, ქალბატონო?

–ერთი ღამით, სამი თვით – საიდან უნდა ვიცოდე?

–სულერთი არ არის ეგ, ქალბატონო.

–ყველაზე მნიშვნელოვანი გაქცევაა. მე არ დავბრუნდები ამ სახლში მას შემდეგ, რაც ამ ღამეს მითხრეს, სანამ არ შემეხვეწებიან.

–უმჯობესია დიდი ჩემოდანი ავიღოთ, ვიდრე... ქალბატონო, წავალ და მოვიტან.

პატარა ოთახში ჰაერი საშინელი, მტვისა და ტყავის სუნით გაჟღენთილი იყო. მძლივს შეკრული დიდი ჩემოდანი და მოშორებით იდგა, კუთხეში. შესაკვრელად მთელი არსებით უნდა დაწოლოდა. ჭიაყელა და ფერადი ვარსკვლავები თვალწინ უკრთოდა; თავბრუ დაეხვა, როდესაც წელში გაიმართა.

– დაგეხმარები ჩალაგებაში სოფი, უთხრა ქალბატონმა, როდესაც მსახური დაბრუნდა.სოფი ძლივს მოათრევდა მძიმე ჩემოდანს. რა ცუდად გამოიყურებოდა ბოლო დროს! ქალბატონს სძულდა მოხუცი, უშნო ხალხის გვერდით ყოფნა, მაგრამ სოფი ისეთი მარჯვე და მოხერხებული იყო. სრული სიგიჟე იქნებოდა მისი თავიდან მოცილება.

–ქალბატონო, ნუ შეწუდებით სოფიმ იცოდა, თუ ქალბატონი უჯრების გაღებასა და ნივთების აქეთ–იქით სროლას დაიწყებდა, ეს უსასრულოდ გაგრძელდებოდა. – ქალბატონისთვის უკეთესი იქნება, თუ დაიძინებს. უკვე გვიანია.

არა, არა. როგორ დაიძინებდა,ასეთი ნერვიულობის შემდეგ... სრულიად უძლური იყო. ეს კაცები... რა სისასტიკეა! კაცების მონა ხომ არ არის. არავის მოეპყრობოდნენ ამგავრად.

სოფი ჩემოდანს ალაგებდა. რად უღირდა მთელი დღე საწოლში, დიდ, რბილ, თბილ და ფუმფულა საწოლში მოსვენება, ქალბატონის მსგავსად. ჩათვლემდა, გაიღვიძებდა ცოტა ხანს, შემდეგ კვლავ ჩათვლემდა.

–მისი ბოლო თვალთმაქცობა, აღშფთებით ამბობდაქალბატონი, ის იყო, რომ მითხრა, ფული აღარ მაქვსო; არ ვაპირებ შენთვის ტანსაცმლის ყიდვასო,სრული უაზრობაა.შიშველი ხომ ვერ ვივლი, არა? მეტი არ შემიძლია. – ქალბატონმა ხელები აიქნია.– და როგორც მითხრა, აღარ აქვს საშუალება , ეს ხომ სრული სისულელეა. ძალიან კარგადაც აქვს., მშვენივრად! ძუნწია, საშინლად ძუნწი. და გაეკეთებინა რაიმე მაშინ. ნამდვილი საქმე რომ ეკეთებინა, ლექსების წერისა და თავის ხარჯებით ბეჭდვის ნაცვლად, ექნებოდა ფული, სათავისოდაც ეყოფოდა და სახარჯოდაც..– ქალბატონი ოთახში მიმოდიოდა.

–ამის გარდა,დაამატა მან,–ამას მისი მოხუცი მამა ემატება. ნეტავ ის კიდევ რისი მაქნისია? უნდა ამაყობდე პოეტი ქმრით,– მოხუცივით ააკანკალა ხმა ქალმა, ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო ის არის, რომ სახეში არ შევცინო. – და რა მშვენიერი ლექსები დაწერა შენზე ჰეგესიპემ! რა ვნება, რა ცეცხლი!– მოხუცი რომ გაახსენდა, სახე დამანჭა, თავის ქიცინს მოჰყვა, თითი გაიქნია და თან წაბარბაცდა.

–და როცა წარმოიდგენ, რომ ჰეგესიპე ქაჩალია და შერჩენილ ორ ღერ თმასაც იღებავს,– ქალს გაეცინა, – და ვნება, რომელზეც საუბრობს თავის საშინელ ლექსებში, სულ ტყუილია. მაგრამ, ჩემო კეთილო სოფი, შენ რაღა დაგემართა? რატომ დებ ამ საშინელ, ძველ მწვანე კაბას ჩემოდანში?

სოფიმ უთქმელად ამოიღო კაბები. რაღა მაინცდამიანც ამ ღამეს გამოიყურება ასე საშინლად? სოფის ყვითელი სახე და ლურჯი კბილები ჰქონდა. ქალბატონს შეაჟრჟოლა. რა საშინელება იყო. დასაწოლად უნდა გაეშვა , მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა საქმეს მორჩებოდა. რისი გაკეთება შეიძლებოდა? ასე საშინლად თავი არასდროს უგრძვნია.

–ცხოვრება საშინელია. ამოიოხრა და საწოლის კიდეს დაეხეთქა.

საწოლის მხტუნავმა ზამბარებმა ქალი ორჯერ ნაზად დაარწიეს და მერე გაჩერდნენ. ასეთ კაცზე რომ იქნები გათხოვილი. მალე დავბერდები და გავსუქდები და ერთხელაც არ მიღალატია მისთვის. მაგრამ ხედავთ, რითი მიხდის? ქალი კვლავ წამოდგა და უმიზნოდ გაიარ–გამოიარა ოთახში.

–ამას არასდროს შევეგუები, წამოიყვირა მან.

შემდეგ შეჩერდა გრძელი სარკის წინ და ტკბებოდა საკუთარი საუცხოო გამოსახულებით. არავინ დაიჯერებდა, რომ უკვე ოცდაათ წელზე მეტის იყო. მშვენიერი ტრაგიკული ქალის უკან, სარკეში, სკივრთან ჩაცუცქული, გამხდარი, საცოდავი ბებერი არსება ჩანდა, გაყვითებული სახითა და ლურჯი კბილებით. ეს კი მართლა აუტანელი იყო. სოფი იმ მათხოვარ ქალს ჰგავდა, ცივ დილას ქუჩაში რომ დგას, ტროტუარზე, . ნეტავ რას იზამდა კაცი, სწრაფად ჩაუვლიდა და და არც კი შეხედავდა ასეთებს, თუ შეჩერდებოდა, საფულეს გახსნიდა, სპილენძის ან 5 ცენტიან მონეტას გადაუგდებდა,ან იქნებ ორ ფრანკსაც კი. თუ ხურდა არ ექნება? რაც არ უნდა ექნა ადამიანს,მაინც დამნაშევედ იგრძნობდა თავს, იმის გამო, რომ მას, ძვირფას ქურქში გახვეულს, ამის ყურება უხდებოდა . აი რა მოსდევს ქუჩაში ფეხით სეირნობას. როცა მანქანა გყავს....., მაგრამ ეგეც ხომ ჰეგესიპეს სიძუნწის ბრალია. ჩაკეტილი ფანჯრის უკან რომ მისრიალებ, საერთოდ არ გიწევს ასეთებზე ფიქრი. ქალმა სარკეს ზურგი აქცია.

არა, მე ამას ვერ ავიტან, წარმოთქვა. ცდილობდა არ ეფიქრა მათხოვარ ქალებზე, ლურჯ კბილებზე, ყვითელ სახეებზე.

ვერ ავიტან, და სკამზე დაეხეთქა.

წარმოიდგინე მოყვითალო სახისა და ლურჯი, უსწორმასწორო კბილებიანი საყვარელი.. თვალები დახუჭა და ამის წარმოდგენზეც კი შეაჟრჟოლა საკმარისი იყო ავად გახდომისათვის.. მაინც გაექცა თვალი მისკენ. სოფის მომწვანო ტყვიის ფერი, უსიცოცხლო თვალები ჰქონდა. რისი გაკეთება შეეძლო? სოფის სახეზე საყვედური აღბეჭდოდა, თითქოს ბრალს მას სდებსო.. მისი შეხედვაც კი გულს ურევდა. არადროს უგრძვნია თავი ასე, უკიდურესად მოქანცულად.

სოფი ნელა წამოდგა და ქალბატონის კომოდიდან ძლივს ძლივობით გადათვალა ექვსი წყვილი აბრეშუმის წინდა. კვლავ ჩემოდანს მიუბრუნდა. მოსიარულე გვამს ჰგავდა.

რა საშინელია ცხოვრება, დარწმუნებით გაიმეორა ქალბატონმასაშინელი, საშინელი, საშინელი.

კარგი იქნებოდა, ქალი დასაწოლად გაეშვა. მაგრამ ვერასდროს შეძლებდა, თავად ჩაელაგებინა საკუთარი ნივთები. არა და მნიშვნელოვანი იყო ხვალ დილითვე გასცლოდა აქაურობას. ჰეგესიპეს ხომ უთხრა, წავალო. კაცმა კი , უბრალოდ, ჩაიცინა; არცკი დაიჯერა. ასე რომ, ამჯერად, ქალი კარგ გაკვეთილს ჩაუტარებდა. რომში ის შეხვდებოდა ლუიჯინოს, მომხიბვლელ ბიჭსა და, ასევე, შესაძლოა, მარკიზსაც. ... მაგრამ ახლა ვერაფერზე ფიქრობდა, გარდა სოფის სახისა. მძიმე თვალები, მოლურჯო კბილები, მოყვითალო, დანაოჭებული სახე.

–სოფი,– უეცრად თქვა მან. შეეცადა არ ეყვირა.

ნახე, ტრილიაჟზე ფერუმარილის კოლოფი დევს, დორინი 24 ნომრით, გადაისვი ოდნავ ლოყებზე. ასევე ტუჩის საცხია, მარჯვენა უჯრაში.

ქალბატონმა მაგრად დახუჭა თვალები, სანამ სოფი წამოდგა, საშინელი ჭრაჭუნით სახსრებში, მივიდა ტრილიაჟთან და უსასრულოდ დიდხანს ფაჩუნობდა. რა ცხოვრებაა, ღმერთო ჩემო, რა ცხოვრებაა!

ნელი ნაბიჯები კვლავ მოესმა, ამჟამად საწინააღმდეგო მიმართულებით. ქალბატონმა თვალი გაახილა.

ოჰ, ასე სჯობდა, ბევრად..

–მადლობთ სოფი. ახლა ნაკლებად დაღლილი ჩანხარ. ქალბატონი ცოცხლად წამოხტა ფეხზე.

–ახლა უნდა ვიჩქაროთ. გახელებული ენერგიით გარდერობისკენ გაექანა.

–ღმერთო ჩემო, წამოიყვირა, ხელების ქნევით.

დაგვიწყებია ჩემი ლურჯი საღამოს კაბის ჩადება. რატომ ხარ ასეთი სულელი,, სოფი?

ერნესტ ჰემინგუე



ერნესტ მილერ ჰემინგუეი - ამერიკელი მწერალი, რომანისტი და ჟურნალისტი. მისი გამორჩეული წერის სტილი ხასიათდება მკაცრი მინიმალიზმით. მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მეოცე საუკუნის ლიტერატურის განვითარებაზე.

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, თუ რატომ ავირჩიე მაინც და მაინც ერნესტ ჰემინგუეი და რატომ ვთარგმნე მისი ნაწარმოები. ბევრი მოთხრობა მაქვს წაკითხული და, ამგვარად, განსაკუთრებით მომწონს ამ ავტორის დამახასიათებელი წერის სტილი; კერძოდ, პირველი თავისებურება ჰემინგუეის სტილისა არის გამომსახველ საშუალებათა უდიდესი სიძუნწით გამოყენება. იგი ცდილობს მინიშნებით გააცნოს მკითველს ესა თუ ის სიტუაცია, უშუალოდ დაანახოს გმირი. ის არ მოგვითხრობს პერსონაჟების თავგადასავალს, არამედ გვაჩვენებს და მსჯელობისგანაც თავს იკავებს. იგი მკითხველის აქტიურ ჩარევას გულისხმობს, რომელმაც თავის წარმოდგენაში უნდა აღადგინოს ის რაც ავტორმა განგებ გამოტოვა - გმირისა თუ მოვლენის დახასიათება, მისი ბიოგრაფია თუ მომავალი.

გარდა ამისა გაოცებას იქვევს ჩემში ჰემინგუეის მოთხრობების დასასრული. ზოგი ისე მთავრდება, როგორც დასასრულსაც სრულიად არ ველოდებით, ზოგი კი მოულოდნელად წყდება და ჩემში დაუმთავრებლობის განცდას იწვევს, თუმცაკი ეს უკანასკნელი რაღა თქმა უნდა განგებ ხდება, ავტორის დამახასიათებელი სტილიდან გამომდინარე, მკითველი მონაწილეა მოთხობების დასასრულისა. სწორედ მეორე ვერსიაა წარმოდგენილი „თეთრი სპილოს მსგავს მთებში“, სადაც მოქმედება ესპანეთში მატარებლის სადგურზე მიმდინარეობს. მამაკაციც და გოგონაც სვამენ ლუდს და, შეიძლება ითქვას, მთელი მათი ცხოვრება ამით შემოიფარგლება: ბევრს მოგზაურობენ, აგემოვნებენ სხვადასხვა სასმელებს და ის ფაქტიც რომ მათ ჩემოდნებს უამრავი იარლიყი აქვთ მიწებებული, მიგვთითებს, რომ თავისუფალი ცხოვრების ე.წ. ბოჰემური სტილს მისდევენ. ეს ის პერიოდია, როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მორალურად თუ ფიზიკურად გამოფიტული და ემოციებისგან დაცლილი საზოგადოება მიეტანა მოგზაურობას და სმას, როგორც რეალობიდან თავის დაღწევის კარგ საშუალებას. ერნესტ ჰემინგუეის სხვა არაერთ ნაწარმოებში ჰყავს დახატული 20-იანი წლების მოსახლეობა, რომელთა ცხოვრებაც უმიზნო სიცარიელედ ქცეულა. ამ მხრივ არც ჯიგი და ამერიკელი კაცი წარმოადგენს გამონაკლისს. ისინი სვამენ, რათა თავი შეიქციონ და არ ისაუბრონ არასასურველი ბავშვის შესახებ, რომელიც, თუ დაიბადა, რადიკალურად შეცვლის მათი ცხოვრების სტილს.

თეთრი სპილოს მსგავსი მთები

(თარგმნა მარიამ ბულაურმა)

ებროს ხეობის გასწვრივ გრძელი და თეთრი მთები იყო ჩარიგებული. ამ მხარეში ერთი ხეს ვერ იპოვიდი და, შესაბამისად, არც ჩრდილი იყო . სადგური შუაგულ მზეში, ორ ლიანდაგს შორის მდებარეობდა. მოპირდაპირე მხარეს, გაჩერებასთან ახლოს, შეამჩნევდით შენობის ჩრდილს და ღია კარს ბარში, მასზე დაკიდებული ფარდითურთ, რომელიც ბამბუკისა და მძივებისგან იყო დამზადებული და მწერებისგან იცავდა. ამერიკელი კაცი და მისი მეგობარი გოგონა მაგიდასთან ჩრდილში, ბარის გარეთ ისხდნენ. ცხელი დღე იყო, ბარსელონადან რკინიგზის ექსპრესი ორმოც წუთში უნდა მოსულიყო, რომელიც სადგურზე ორ წუთს დაყოვნდებოდა და მადრიდში გაემგზავრებოდა .

–რა დავლიოთ?– იკითხა გოგონამ. ქუდი აიღო და მაგიდაზე დადო.

–ძალიან ცხელა– თქვა მამაკაცმა.

–ლუდი დავლიოთ.

–ორი ლუდი, თუ შეიძლება.

–დიდი კათხით? – გამოსძახა მიმტანმა კარიდან.

–დიახ, ორი დიდი კათხა ლუდი.

მიმტანმა მოიტანა ორი კათხა ლუდი და ორი თექის დასაფენი, დააწყო მაგიდაზე და წყვილს მიაშტერდა. გოგონა გორაკებისკენ იცქირებოდა, რომლებიც მზეზე თეთრად მოჩანდნენ, მათ გარშემო კი ყველაფერი ყავისფერი და მოსაწყენი იყო.

–თეთრ სპილოებს გვანან– თქვა მან.

მე ისინი არასდროს მინახავს–უპასუხა კაცმა და ლუდი მოსვა.

– ვერც ნახავდი.

–შეიძლება ვნახე კიდეც. მხოლოდ ის, შენ რომ ამბობ, ვერ ნახავდიო, არაფერს ამტკიცებს.–შეეპასუხა კაცი.

გოგონამ მზერა ფარდაზე შეაჩერა. –მასზე რაღაც წერია. რა წერია, მითხარი.

–Anis del Toro- სასმელის სახელია, უპასუხა ამერიკელმა.

–ხომ არ გაგვესინჯა?

–ერთი წუთით, უკაცრავად,– დაიძახა კაცმა. მიმტანი გამოვიდა ბარიდან.

–აი, ოთხი რეალი და „Anis del Toro” მოგვიტანეთ, თუ შეიძლება.

–წყლით?–შეეკითა მიმტანი
–არ ვიცი, წყლით კარგია?– იკითხა გოგონამ.
–კი, ძალიან.
–წყლით გნებავთ?– გაუმეორა მიმტანა
–კი, ასე იყოს.
–ძირტკბილას გემო აქვს– თქვა გოგომ და ჭიქა მაგიდაზე დადო.
–სულ ასეა.
–ყველაფერს ძირტკბილას გემო აქვს, განსაკუთრებით მაშინ ,როდესაც დიდხანს ელოდები, როგორც აბსენტს – მიუგო კაცმა
–კაი, მორჩი რა, ლაპარაკს.
–თავად წამოიწყე. მე მომეწონა, კარგად ვერთობოდი –უპასუხა გოგონამ.
–კარგი, მოდი ვცადოთ, დრო სასიამოვნოდ გავატაროთ.
–კარგი, ვცდილობდი კიდეც. ვამბობდი, რომ მთები თეთრ სპილოებს გვანან. ჭკვიანურია, არა?
–კი, ჭკვიანურია –დაეთანხმა კაციც.
–მინდა, რომ სასმელი გავსინჯო. მხოლოდ ამას არ ვაკეთებთ? ახალ რაღაცეებს ვათვალიერებთ და ახალ სასმელს ვაგემოვნებთ?
–კი, ასეა.
გოგონამ თვალი მოავლო მთებს.
–საუცხოო მთებია, თუმცა ნამდვილად არ გვანან თეთრ სპილოებს. მე მხოლოდ მათ კანის ფერს მივამგვანე, ხეებში რომ ჩანს.
–კიდევ დავლიოთ რამე?– ისევ იკითხა გოგომ.
–რატომაც არა.
თბილმა სიომ დაუბერა და მძივების ფარდა მაგიდისკენ გამოაქროლა.
–ლუდი სასიამოვნოდ ცივია,– აღნიშნა კაცმა
–შესანიშნავია,– მიუგო გოგომ
– ეს ძალიან მარტივი ოპერაციაა, ჯიგ, ოპერაციაც კი არ ეთქმის –უთხრა კაცმა
გოგონამ მრგვალი მაგიდის ფახებს დახედა, მიწაზე.
– ვიცი, რომ წინააღმდეგი არა ხარ. ჯიგ. მართლაც არაფერია. მხოლოდ ჰაერს შეუშვებენ შიგნით.
გოგონამ არ უპასუხა.
–შენთან ერთად წამოვალ და სულ შენთან ვიქნები; მარტო არ დაგტოვებ. მხოლოდ ჰაერს შეუშვებენ შიგნით; სულ ეს არის, სავსებით ბუნებრივია.
– შემდეგ ჩვენ რას ვიზამთ?

– ისე ბედნიერად ვიცხოვრებთ, როგორც მანამდე.
–რატომ ფიქრობ ასე?
–ეს არის ერთადერთი რამ, რაც გვაწუხებს და არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ბედნიერები ვიყოთ.
გოგონამ მძივებიანი ფარდისკენ გაიწვდინა ხელა და ორი ზონარი მოხვდა მუჭში.
–და შენ ფიქრობ, რომ ამის შემდეგ ჩვენ კარგად ვიქნებით და ბედნიერად ვიცხოვრებთ?
–ეჭვიც არ მეპარება. არ უნდა გეშინოდეს. უამრავ ადამიანს ვიცნობ, რომლებსაც ეს გამოუცდიათ.
მეც , –მიუგო გოგონამ,— და შემდეგ ძალიან ბედნიერად გრძნობდნენ თავს.
–კარგი, თუ არ გინდა, არ არის აუცილებელი. არც გაძალებ, თუ არ გინდა. მაგრამ ვიცი , რომ ეს უმარტივესი რამ არის–მიუგო მამაკაცმა
–და შენ ნამდვილად გინდა,გავიკეთო?
–მე მიმაჩნია,რომ ეს საუკეთესო გამოსავალია. მაგრამ თუ შენ არ გინდა, არც მე მინდა.
–და თუ ამას გავაკეთებ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც აქამდე იყო და ისევ გეყვარები?
–მე ახლაც მიყვარხარ და შენ ეს იცი.
–ვიცი, მაგრამ თუ ამას ვიზამ, ყველაფერი ძველებურად კარგად იქნება? თუ ვიტყვი, რომ მთები სპილოებს გვანან, მოგეწონება?
–მომეწონება. ახლაც მომწონს, მაგრამ ამაზე ვერ ვფიქრობ. ხომ იცი, როგორი ვხდები, როცა რაღაც მაწუხებს.
–თუ ამას გავაკეთებ, კიდევ ინერვიულებ?
-არა, იმიტომ, რომ ძალიან მარტივი პროცედურაა.
—მაშინ ისე მოვიქცევი, როგორც გსურს, რადგან ჩემი თავი არ მანაღვლებს.
–რას გულისხმობ?
–საკუთარი თავი არ მადარდებს.
–მე კი შენზე ვზრუნავ.
–გასაგებია. მაგრამ მე არ ვზრუნავ ჩემ თავზე და გავაკეთებ ამას, თუ ყველაფერი ისევ კარგად იქნება.
–მე არ მინდა, რომ გააკეთო, თუ მერე თავს დამნაშავედ იგრძნობ.
გოგონა წამოდგა და სადგურის ბოლოსკენ გაისეირნა. მოპირდაპირე მხარეს, მარცვლეულის მინდვრებსა და ებროს ნაპირების გასწვრივ ჩარიგებული ხეები მოჩანდა. შორს, მდინარის იქით კი–მთები. ღრუბლის ჩრდილი მინდვრის თავზე მიცურავდა და ხეებს შორის მდინარე ილანდებოდა.

–შეიძლება ყველაფერი ეს გვქონდეს, თუმცა ახლა დღითიდღე შეუძლებელს ვხდით ამას.
-რა თქვი?
-ის, რომ ყველაფერი შეიძლება გვქონდეს.
–არა, არ შეგვიძლია..
– ყველგან შეგვიძლია წავიდეთ.
–არა, არ შეგვიძლია. არაფერი აღარ არის უკვე ჩვენი.
–ჩვენია. არა, არ არის. და დაკარგულს ვერ იბრუნებ.
–ჯერ არ დაგვიკარგავს.
–მომავალი გვიჩვენებს
–დაბრუნდი ჩრდილში, მიუგო კაცმა, –თუ ეგრე გგონია, ნუ გაიკეთებ.
–მე არაფერი არ მგონია, უბრალოდ რაღაცეები ვიცი–უპასუხა ჯიგმა
–არ მინდა დაგაძალო იმის გაკეთება, რაც არ გსურს.
–არც ეგ პასუხი მაკმაყოფილებს. კიდევ ხომ არ დავლიოთ ლუდი?–იკითხა გოგონამ.
—კარგი. მაგრამ შენ უნდა გაიგო..
–ვხვდები. შეიძლება შევწყვიტოთ საუბარი?
ისინი მაგიდასთან დასხდნენ. გოგონა გასცქეროდა მთებსა და ხეობის გამომშრალ მხარეს. კაცი კი მაგიდას დასცქეროდა.
–უნდა იცოდე, რომ არ მინდა დაგაძალო ის, რაც შენს სურვილს ეწინააღმდეგება. მინდა, მოიცილო, თუ ეს შენთვის მართლა არაფერს ნიშნავს,– უთხრა ამერიკელმა.
–შენთვის არაფერს არ ნიშნავს? ხომ შეგვეძლო, კარგად ვყოფილიყავით.
 –რა თქმა უნდა, ნიშნავს, მაგრამ მე შენს გარდა არავინ მინდა. ვიცი, რომ ეს ძალიან მარტივია.
–კი, შენ იცი, რომ მარტივია.
–კარგი, შენთვის ადვილია ამის თქმა, მაგრამ მე ვიცი
–შეგიძლია ჩემთვის რამე გააკეთო ახლა?
– შენთვის ყველაფერს გავაკეთებ.
–მაშინ გთხოვ, გემუდარები, გეხვეწები, გაჩერდი რაა?– კაცმა აღარაფერი თქვა. მაგრამ გახედა კედლების გაყოლებაზე ჩამწკრივებულ ჩემოდნებს,, ყველა სასტუმროს იარლიყით, სადაც სადაც კი ღამე გაეთიათ.
–კი მაგრამ, არ მინდა...მე არ მაინტერესებს
–ეხლა ვიკივლებ– თქვა ჯიგმა
ქალი გამოვიდა ფარდიდან ორი ლუდით ხელში, ნესტიან სადგამებზე დააწყო ისინი და თქვა: –მატარებელი ხუთ წუთში მოვა.

–რაო?– იკითხა გოგონამ.
–მატარებელი ხუთ წუთში აქ იქნება.
გოგონამ მადლობის ნიშნად გაუღიმა მიმტანს.
–უმჯობესია ჩანთები სადგურის მეორე მხარეს გადავიტანო – თქვა კაცმა, გოგონამ გაუღიმა მას.
–კარგი, რომ დაბრუნდები, ლუდი დავამთავროთ.
კაცმა აიღო ორი მძიმე ჩემოდანი და წაიღო სადგურის ბაქნისა და ლიანდაგებისაკენ. ლიანდაგები დაათალიერა, მაგრამ მატარებელი არ ჩანდა. დაბრუნებისას ბარში გამოიარა, სადაც ხალხი მატარებელს ელოდა და თან სასმელს ეძალებოდა. ამერიკელმა ანისი დალია და ხალხი შეათვალიერა. მატარებელს ელოდნენ. კაცი გამობრუნდა და დაინახა, რომ გოგონა ისევ მაგიდასთან იჯდა და უღიმოდა.
–თავს უკეთ გრძნობ?–ჰკითხა კაცმა
–კი, კარგად, მიუგო მან–ყველაფერი კარგადაა, მეც კარგად ვარ.

ალან მელი



ალან მელი XX საუკუნის ნაკლებად ცნობილი მწერალი, პოეტი და ინგლისურის მასწავლებელი გახლდათ. ის გვერდში ედგა ნიჭიერ და კრეატიულად მოაზროვნე მწერლებს, ხშირად მოგზაურობდა და დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივ მასწავლებლებს.

ვფიქრობ, რომ ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მკითხველს სურვილი გაუჩნდება და ალან მელის სხვა ნაწარმოებებითაც დაინტერესედება.

ჩემს მიერ არჩეული მოთხრობა **„სასწაულები ნამდვილად ხდება"** კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ადამიანმა იმედი არ უნდა დაკარგოს , ყოველი დრე რაღაც ახალს და საინტერესოს გვპირდება.

" ძვირფასო მაიკ , ვეღარასდროს ვეღარ გნახავ, მაგრამ არასდროს დაგივიწყებ. ისეთივე ბედნიერებას გისურვებ , როგორიც მე ვიპოვე. ბედნიერება ჩვენს თვალწინაა, მაგრამ ჩვენ მას ვერ ვხედავთ. სასწაულები ნამდვილად ხდება ."

სასწაულები ნამდვილად ხდება

(თარგმნა თეონა გარსევანიშვილმა)

–ბილინგსი, კუპერი და პარკსი, რით შემიძლია დაგეხმაროთ? ‘’

დღის 5 საათი იყო. პარასკევი, ტრეისი წასვლას აპირებდა.

– დიახ. შემიძლია მისტერ მაიკლ ჯონსონს ველაპარაკო? პირადი ზარია. მაგრამ ...ძალიან საჩქაროა.

ტრეისი წასვლას ჩქარობდა. შეხვედრა ჰქონდა ვინსთან 5.30-ზე. რატომ რეკავს ეს ხალხი ყოველთვის სამუშაოს დამთავრების დროს, თანაც პარასკევს? კაცს შეშფოთებული ხმა ჰქონდა, აშკარად შორი მანძილიდან რეკავდა, უცხოეთიდან. გამართული ინგლისურით ლაპარაკობდა, მაგრამ ‘უცხოელი’ იყო ; აქცენტით გერმანელს ჰგავდა.

–მაიკ , გასძახა გოგონამ , – ხაზზე გერმანელია. ამბობს,სასწრაფო საქმე მაქვსო..

– შმიდტი იქნება ფრანკფურტიდან,– უპასუხა მან,– დამაკავშირეთ.

მაიკლ ჯონსონი ახლა უფროსი პარტნიორი იყო, ბილინგსის , კუპერის და პარკსის სერიოზულ და რესპექტაბელურ საბირჟო კომპანიაში. 30 წელია მათთან მუშაობდა და თან კარგადაც. იშვიათად იღებდა შვებულებას. დაქორწინებული იყო, ორი შვილი ჰყავდა, ორივე უნივერსიტეტის სტუდენტი. ეშერში ცხოვრობდა, სარიში, მყუდრო სახლში, მყუდრო ადგილას, კომფორტულ, მაგრამ ქალურ ხიბლს მოკლებულ ცოლთან , მერჯორისთან ერთად. ცხოვრება აწყობილი ჰქონდა, თუმცა რუტინად ქცეული. მომავლისგან კარგს აღარაფერს ელოდა.

მაგრამ მოსაუბრე შმიდტი არ აღმოჩნდა.

– ვწუხვარ, რომ გაწუხებთ , – მეტად თავდაჭერილად ლაპარაკობდა კაცი, – მაგრამ არ ვიცი, რა ვიღონო. მე ელსის ქმარი ვარ, ელს კოლბის, შლეისუმიდან. ალბათ გახსოვს ელსი..

–რა თქა უნდა , მახსოვს ელსი. არ ვიცოდი , მეორედაც თუ გათხოვდა.

– კი, 10 წლის წინ დავქორწინდით. მაგრამ ამის გამო არ ვრეკავ. ელსი კვდება. ექიმმა, სამ თვეზე მეტს ვეღარ იცოცხლებსო. თქვენთან შეხვედრას თხოულობს , სანამ,–. ხმა ჩაუწყდა, –გთხოვ, ჩამოდით. ფაქსით გამოგიზავნით ჩვენს მისამართს. გთხოვ ჩამოდით. მას სჭირდებით.

გაითიშა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფაქსით მოვიდა მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი ჰაგერსრუფში, შლეისუმისგან მოშორებით.

მაიკლმა ტრეისს გასძახა:– გადადე ყველა ჩემი შეხვედრა მომდევნო კვირისთვის, გეთაყვა. დაუკავშირდი ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელს. ბილეთი მჭირდება, ჰამბურგში, ხვალ დილისთვის.

თავად სკამზე დაჯდა. რატომ აკეთებდა ამას? ფრთხილი კაცი იყო. დაუფიქრებლად არაფერს აკეთებდა. ელსის თხოვნაზე კი უარი ვერ თქვა. ეს ნაბიჯი ძალიან ბევრ სადარდებელს გაუჩენდა მაგრამ...

გაახსენდა ელსი; 35 წლის წინანდელი ელსი, მისი პირველი სიყვარული...მისი ერთადერთი, ნამდვილი სიყვარული...

ოფისიდან გავიდა და ვატერლოოდან სახლისკენ მიმავალ მატარებელს გაჰყვა . ფიქრობდა, როგორ აეხსნა ეს ყველაფერი მერჯორისთვის.

მომდევნო დილით, 11 საათზე ჰამბურგის აეროპორტში ჩავიდა, მანქანა დაიქირავა და ნახევარი საათის შემდეგ უკვე ჩრდილოეთით, შლესვიგ- ჰოლსტეინისკენ მიქროდა. შლეისუმი პატარა, პროვინციული ქალაქია ბალტიის ზღვის ყურეში. მნიშვნელოვანი არც არაფერი არ ხდება იქ. 1956 წელს მაიკლი სამხედრო აეროპორტში მსახურობდა შლეისუმში, სამხედრო სამსახურში. მაშინ 18 წლის იყო. ცხოვრება მოსაწყენად და ერთფეროვნად ეჩვენებოდა. ხშირად უწევდა ღამით, რადიოლოკაციურ სადგურში მუშაობა, აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში და ბალტიის ქვეყნებში საჰაერო მიმოსვლის კონტროლი. დღეებს ძილში ატარებდა. ერთ მშვენიერ დღეს, კვირას, მეგობრებთან ერთად საცეკვაოდ წავიდა „ჰოტ კლუბში“. სწორედ იქ შეხვდა ელსის. ამ მომენტიდან მისი ცხოვრება უეცრად შეიცვალა.

პატარა სასტუმრო ‘ცუმ დოიჩენ აიხეში’ დარეგისტრირდა, სტედთვეგზე, ქალაქის მთავარ ქუჩაზე. გაახსენდა, როგორ სვამდა ლუდს. პატარა და მოკრძალებული ადგილი იყო, სუფთა. ჰერმან დოლს, ელსის ქმარს, დაურეკა. ნახევარი საათის შემდეგ, დოლმა გამოუარა წასაყვანად. ახალ ბმვ–ზე იჯდა. ქალაქგარეთ გავიდნენ, ბრექენჰეიდთან ახლოს, სადაც ადრე სამხედრო ავიაბაზა იყო. მაიკლს გაახსენდა რამდენჯერ დაბრუნებულა უკან ბანაკში, ელსის სახლში მიცილების შემდეგ. 5 კილომეტრი უნდა გაევლო, მაგრამ, ელსიზე ფიქრებში გართულს, მანძილი უცბად ელეოდა ხოლმე.

ჰერმანი ჩია კაცი იყო, თხელი, ქვიშისფერი თმით და სველი, ნერვული პირით. გზად ცდილობდა ლაპარაკი გაება.

– გაოცებული დარჩებით, როცა ელსის ნახავთ. გთხოვთ, არ აგრძნობინოთ. ამ მომენტს სულისმუთქმელად ელოდა.

სამხედრო საჰაერო ბაზას ჩაუარეს.. უდაბურ ადგილად იყო უკვე ქცეული, დაცარიელებული შენობებით.

–ორი წლის წინ დაკეტეს, მას შემდეგ, რაც ბერლინის კედელი დაინგრა,– აუხსნა ჰერმანმა. მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხლებული იყო, ელსის დანახვაზე მაიკლმა გაოცება მაინც ვერ დამალა..

ელსი გარეუბნის ვილის საძინებელში, დიდ საწოლზე გადაწოლილიყო. თმა სულ გაჭაღარავებოდა, გამჭირვალე კანის ფერი ნაჭუჭგაცლილ კვერცხს მიუგავდა, სახეზე ძვლები გამოჩროდა და ღმად ჩაძირული თვალებით იყურებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ლამაზი იყო. მაიკლი საწოლზე, გვერდით მიუჯდა მას და ხელი ხელზე მოკიდა. ჰერმანმა ხმისამოუღებლივ დატოვა ოთახი და ისინი ერთად.

–მოხვედი, თქვა ელსიმ,– არ მჯეროდა, რომ მოხვიდოდი.

მომდევნო კვირას მაიკლი ყოველ მომენტს, დღისითაც და ზოგჯერ ღამითაც. ელსისთან ერთად ატარებდა. ერთად აღიდგინეს წარსულის თითოეული მომენტი, ვნებით აღსავსე სიყვარულის დეტალები, რომელიც 35 წლის წინ გამოსცადეს.

– გახსოვს პირველი ღამე, სახლში რომ მოგიწვიე?– ჰკითხა ელსიმ მაიკლს,

– ჩვენ სარდაფში რომ ჩავედით, გამათბობელს მივუსხდით და დილის 3 საათამდე ვლაპარაკობდით, იმას გულისხმობ? რა დამავიწყებს? იმხელა გზა გავიარე უკან ბანაკში,იმ სიცივეში!

– ის საღამო, ტყეში რომ გავისეირნეთ, სკოლს გოთორფის უკან? გახსოვს, როგორ იყო ყველაფერი გადათეთრებული და როგორ ბრწყინავდა მთვარის შუქზე თოვლი ?

– იმ საღამოზე რას იტყვი, ზაფხულში, ძალიან ცხელოდა და პირველად რომ ვიკამათეთ? შენ წახვედი და მიმატოვე. მერე კი ორი საათი ერთმანეთის ძებნაში გულგახეთქილებმა გავატარეთ, გახსოვს? ‘

და ასე გაგრძელდა. ჰერმანი შემოვიდა და ისევ გავიდა, ყავა და ჩაი შემოუტანა მოსაუბრეებს, მერე საჭმელი მოუტანა, ლუდი და ღვინო მაიკლისთვის, ელსის წამალი დაალევინა; შემდეგ კვლავ მარტო დატოვა ისინი. არც მაიკლს და არც თვით ელსის სიტყვაც არ დაუძრავს ავადმყოფობაზე, მაგრამ როდესაც ტკივილი უძლიერდებოდა, მაიკლს ხელზე მაგრად უჭერდა ხოლმე. ერთხელ თუ ორჯერ აიძულა კიდეც, რომ დაეტოვებინა, ტკვილს რომ ვეღარ უძლებდა. შემდეგ ღრმად ჩაეძინა, ბანგმიცემულის ძილით. მაგრამ ელსი თანდათან უკეთ გრძნობდა თავს, მაიკლთან ყოფნის გამო. ძალიან ეწყინა, მაიკლმა რომ უთხრა, ხვალ მოვემგზავრებიო , მაგრამ მთელი კვირა მასთან იყო და მეტს ვეღარ დარჩებოდა...მაიკლი ელსის შეპირდა, მალე დავბრუნდებიო... თვის ბოლოს. ელსმა თავი შეაბრუნა , ბალიშში ჩარგო და აქვითინდა.

ჰერმანმა დილით, ქალაქში წაიყვანა მანქანით. მაიკლის ჩამოსვლის დღიდან პირველად დარჩნენ მარტო. როდესაც სასტუმროს წინ გაჩერდნენ, ჰერმანმა ლაპარაკი

დაიწყო, თავიდან ძალიან ნელა და ბორძიკით, შემდეგ უფრო და უფრო თავისუფლად და გატაცებით.

–მაიკ,- ვფიქრობ შემიძლია მაიკი დაგიძახოთ, ყოველთვის მადლობელი ვიქნები იმისთვის, რაც გააკეთეთ. მე არ ვარ ეჭვიანი კაცი. ვიცი, რომ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვინც ელსის მთელი გულით უყვარდა. არა დამამთავრებინეთ, მომისმინეთ, არ შემაწყვეტინოთ. მას შემდეგ რაც წახვედით , მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ელსი თავს ვერ პოულობდა. ხომ იცი, ის ცოლად გაყვა ვიღაც ჰამბურგელ ახალგაზრდას. არ ყოფილა მასთან ბედნიერი . მხოლოდ ერთ წელს გაგრძელდა მათი ქორწინება. შემდეგ რამდენიმე ხანმოკლე რომანი ჰქონდა.. მე გამიმართლა. ელსი მაშინ მოვიყვანე ცოლად, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა გვერდში მდგომი. თქვენთან შედარებით მე არაფერი ვარ, მაგრამ მადლიერი ვარ ბედის. ერთი უბრალო დაზღვევის აგენტი ვარ. არც ისეთი საინტერესო, ვიცი. ვცდილობდი ელსის გაბედნიერებას. ეს უბრალოდ მეგობრობაა, და არა სიყვარული, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეს ერთადერთი რამ გვებადა და არ ვწუწუნებდით. . შვილები არ გვყოლია. შეიძლება ასეც სჯობდა. და ახლა ელსი ორივეს გვტოვებს. ჰერმანმა ქვითინი დაიწყო. მაიკლი ცდილობდა დაეწყნარებინა იგი. შემდეგ წავიდა, ჯერ ჰამბურგში და მერე ლონდონში. შეთანხმდნენ რომ, ჰერმანი დაურეკავდა, როცა დასასრული მოახლოვდებოდა.. ერთი კვირა გავიდა, შემდეგ სამი. მაიკლი დარეკვას ვერ ბედავდა. ერთადერთი რაც შეეძლო, ლოდინი იყო. ორი თვის შემდეგ წერილი მიიღო, შლეისუმის საფოსტო მარკით. წერილი ელსისგან იყო.

ძვირფასო მაიკ ,

ძალიან ვწუხვარ , რომ ვერც მოგწერე და ვერც დაგირეკე, მაგრამ სასწაული მოხდა.

მას შემდეგ რაც წახვედი, ჩემი ჯანმრთელობა გაუარესდა. საავადმყოფოში წამიყვანეს. ვფიქრობდი, ჩემი აღსასრულის დღე დადგა–მეთქი. მაგრამ ერთ დილით, როდესაც წამლების ზემოქმედისგან განვთავისუფლდი, თავი უკეთ ვიგრძენი- ბევრად უკეთ. ჰერმანი გვერდით მეჯდა . უცბად გავაცნობიერე, რა სულელურად ვიქცეოდი. ვერასდროს ვერ ვხვდებოდი, რა იღბლიანი ვყოფილვარ ცხოვრებაში.

თავდაპირველად, ეს იყო ჩვენი პირველი სიყვარული, წლების წინ. არასდროს დამავიწყდება, ერთი მცირედი მომენტიც კი, მიუხედავად იმისა, ამ რომ მან გული მატკინა.. შენ მაშინ დაბრუნდი, როდესაც ყველაზე მეტად მჭირდებოდი. შენს გარეშე ნამდვილად მოვკვდებოდი, ვიცი. მაგრამ როდესაც შენ წახვედი, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, თუ როგორ მყვარებია ჰერმანი. რა დიდხანს ვყოფილვარ ბრმა.. უეცრად მივხვდი ყველაფერს.

ახლა თავს ბევრად უკეთესად ვგრძნობ! ექიმებმა ვერაფრით ახსნეს ეს , მაგრამ სიმართლეა. წონაში მოვიმატე, მომდევნო კვირას კი მე და ჰერმანი იტალიაში მივდივართ არდადეგებზე. ეს ნამდვილად სასწაულია.

ძვირფასო მაიკ , ვეღარასდროს გნახავ, მაგრამ არასდროს დაგივიწყებ. ისეთივე ბედნიერებას გისურვებ , როგორიც მე ვიპოვე. ბედნიერება ჩვენს თვალწინაა, მაგრამ ჩვენ მას ვერ ვხედავთ. სასწაულები ნამდვილად ხდება .

ელსი.

ნილ გეიმანი

ბრიტანელი მწერალი ნილ გეიმანი არის ავტორი მრავალი კომიქსისა თუ წიგნის, რომლითაც ყველა ასაკის წარმომადგენელს შეუძლია დატკბეს. მრავალმხრივ ნიჭიერი პიროვნება საკუთარ თავს მგლოვიარე ბავშვს უწოდებს, რომელიც ბიბლიოთეკებში გაიზარდა. სწორედ ბიბლიოთეკებსა და გეიმანის საყვარელ წიგნებს უნდა ვუმადლოდეთ მის გამორჩეულ პიროვნებად ჩამოყალიბებას. მას აქვს გამორჩეული სტილი, რომელიც შიშის ზარს გცემს და, იმავდროულად, არ გაძლევს უფლებას წიგნს ერთი წამით მაინც მოწყდე.

თანამედროვე გოთური რომანი, „კორალინა“, რომლის მიხედვითაც ანიმაციური ფილმიცაა გადაღებული, მეტისმეტად საშიშად ჩათვალეს ბავშვებისთვის. მასში გეიმანი გვიყვება გოგონას ამბავს, რომელიც საკუთარ სახლში აღმოაჩენს პარალელურ სამყაროში გამავალ კარს. ნაწარმოები მეტად ამაღელვებელია და კორალინასთან ერთად რთული ამოცანების წინაშე გაყენებს, რომელთა გადაჭრა სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა.

როცა მისი თარგმნა დავიწყე, ქართულ სივრცეში „კორალინა“ ჯერ არ არსებობდა და კონკურსის პირობების გათვალისწინებით, მხოლოდ პირველი თავი ვთარგმნე. სრული ვერსია კი უკვე შეგიძლიათ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში მოიძიოთ.

კორალინა

(თარგმნა სალომე შარაძემ)

ამ წიგნის წერა ჰოლისთვის დავიწყე, ხოლო მედისთვის დავამთავრე.

ზღაპრები სიმართლეზე მეტია, არა იმიტომ, რომ დრაკონების არსებობის შესახებ მოგვითხრობენ, არამედ იმიტომ, რომ გვასწავლიან, მათი დამარცხება შესაძლებელია.

გ. კ. ჩესტერტონი

კორალინამ კარი ახალ ბინაში გადასვლიდან მალევე იპოვა. სახლი ძალიან ძველი იყო. მას ჰქონდა სხვენი სახურავის ქვეშ, სარდაფი მიწის ქვეშ და უზარმაზარი გადაბარდული ბაღი ძველი, ვეებერთელა ხეებით.

კორალინას ოჯახი მთელ სახლს არ ფლობდა. ამისთვის მეტისმეტად დიდი იყო. მათ მხოლოდ სახლის ნაწილი ეკავათ.

ძველ სახლს სხვა ბინადრებიც ჰყავდა.

მის სპინკი და მის ფორსიბლი პირველ სართულზე ცხოვრობდნენ, კორალინას ბინის ქვემოთ. ხანშიშესულებსა და ჩამრგვალებულებს, თავიანთ ბინაში რამდენიმე ბებერი შოტლანდიური ტერიერი ჰყავდათ. მათ ისეთი სახელები ერქვათ, როგორიცაა: ჰემიში, ანდრიუ და ჯოკი. როგორც მის სპინკმა უთხრა კორალინას პირველი შეხვედრისას, ისინი, ორივენი ოდესღაც მსახიობები იყვნენ.

- იცი კეროლაინ - უთხრა მის სპინკმა, თანაც კორალინას სახელი არასწორად წარმოთქვა, - მეც და მის ფორსიბლიც თავის დროზე გამოჩენილი მსახიობები ვიყავით. ჩვენ თეატრის სცენებს ვიპყრობდით, საყვარელო. ვაიმე, ჰემიშს ხილის ნამცხვარი არ აჭამო, თორემ მთლი ღამე მუცელი შეაწუხებს.

- მე კორალინა მქვია და არა კეროლაინი. კორალინა. - მიუგო კორალინამ.

კორალინას ბინის თავზე ცხოვრობდა უცნაური მოხუცი კაცი დიდი ულვაშებით. მან კორალინას უთხრა, თაგვების ცირკს ვწვრთნი, თუმცა მათი ნახვის უფლებას არავის ვაძლევო.

- ერთ დღესაც, ჩემო პატარა კეროლაინ, როცა ისინი მზად იქნებიან, მთელი მსოფლიო იხილავს თგვების გასაოცარ ცირკს. გაინტერესებს, თუ რატომ არ შეიძლება მათი ნახვა ახლა, ეს არ მკითხე?

- არა, - მშვიდად მიუგო კორალინამ, - მე უბრალოდ გთხოვეთ, არ დამიძახოთ კეროლაინი. მე კორალინა ვარ.

- მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეგიძლია თაგვების ცირკის ნახვა ახლა - უთხრა კაცმა ზედა სართულიდან, - არის ის, რომ თაგვები ჯერ არ არიან მზად, არც რეპეტიცია გაუვლიათ. თანაც ისინი უარს აცხადებენ ჩემი დაწერილი სიმღერების შესრულებაზე. ყველა სიმღერა, რომელიც თაგვებს დავუწერე ასე ჟღერს: უმპაა, უმპაა. თეთრი თაგვები კი, რატომღაც, მხოლოდ ტუდლ უდლის რიტმში მღერიან. ამიტომ ვფიქრობ, მათ გასაწვრთნელად სხვა სახის ყველი უნდა ვცადო.

კორალინას თაგვების ცირკის არსებობის სულაც არ სჯეროდა. მისი აზრით, ეს ყველაფერი მოხუცის გამონაგონი იყო და სხვა არაფერი.

გოგონამ ახალ სახლში გადმოსვლის დღიდანვე დაიწყო ყველაფრის შესწავლა. დაათვალიერა ბაღი. დიდი ბაღის უკან ჩოგბურთის ძველი კორტი მდებარეობდა. თუმცა სახლის არც ერთი ბინადარი არ თამაშობდა ჩოგბურთს. კორტს გარსშემორტყმულ ღობეს ხვრელები გასჩენოდა, ბადე კი მთლად დამპალიყო. ძველი, მოუვლელი ბაღი სავსე იყო ზრდაშეჩერებული, დამჭკნარი ვარდის ბუჩქებით. აქვე იყო ქვათა ბაღი, რომელშიც უბრალო ქვების მეტი არაფერი იყო და შხამა სოკოები, რომლებიც ისე განლაგებულიყვნენ, რომ ფერიის ბეჭდის ფორმის წრე შეეკრათ. მათზე შემთხვევით რომ დაგებიჯებინათ ფეხი, მაშინვე საშინელი სუნი დადგებოდა.

იქვე იყო ჭაც. მის სპინკმა და მის ფორსიბლმა კორალინას სახლში გადასვლის პირველივე დღეს აცნობეს ჭის საშიშროების შესახებ და გააფრთხილეს, მას ახლოსაც არ გაეკაროო. ასე რომ, კორალინა ჭის საძებნელად გაეშურა, რომ ზუსტად სცოდნოდა, რა ადგილს უნდა მორიდებოდა.

კორალინამ ჭა მხოლოდ სამი დღის შემდეგ იპოვა, ჩოგბურთის მოედნის გვერდით მდებარე გაბარდულ მდელოზე. აგურებით ნაშენები დაბალი წრე ხეთა რიგს უკან, მაღალ ბალახში ჩამალულიყო. ჭაზე ხის ფიცრები გადაეფარებინათ, რათა მასში შემთხვევით არავინ ჩავარდნილიყო. ერთ-ერთ ფიცარს პატარა ჭუჭრუტანა ჰქონდა და კორალინაც შუადღე კენჭებისა და რკოების ჭაში ყრაში გაატარა, თან ითვლიდა, რამდენი ხანი გავიდოდა, სანამ ,,ტყაპს“ გაიგონებდა მათი წყალში ჩავარდნისას.

კორალინა ცხოველებსაც დაეძებდა. იპოვა ზღარბი, გველის ტყავი (მაგრამ არა თვითონ გველი), ქვა, რომელიც ბაყაყს წააგავდა და გომბეშო, რომელიც ქვას ჰგავდა.

ერთი მედიდური შავი კატაც შემოეყარა. ხან კედელზე იჯდა, ხანაც ხის ტოტზე და იქიდან აკვირდებოდა გოგონას მოქმედებებს, მაგრამ მაშინვე გარბოდა, როგორც კი კორალინა სათამაშოდ მიუახლოვებოდა.

ასე გაატარა კორალინამ პირველი ორი კვირა ახალ სახლში - ბაღისა და ახლომახლო მიდამოების დათვალიერებაში..

დედამისი მხოლოდ სადილსა და სამხარზე ეძახდა სახლში და ყურადღებას აქცევდა გოგონას თბილად ჩაეცვა, რადგან იმ ზაფხულს მეტისმეტად ციოდა. ყოველ დღე, გარეთ გასვლისას გოგონა ყველაფერს ათვალიერებდა, სანამ ერთ დღესაც არ გაწვიმდა. იმ დღეს კორალინას სახლში დარჩენა მოუხდა.

- ახლა რა უნდა გავაკეთო? - დაიჩივლა კორალინამ.

- წიგნი წაიკითხე - უთხრა დედამ, - ვიდეოს უყურე. შენი სათამაშოებით ითამაშე. მის სპინკს, მის ფორსიბლს ან სულაც ზედა სართულზე მცხოვრებ უცნაურ მოხუცს გამოელაპარაკე.

- არა ,- თქვა კორალინამ. - არაფერი ამდაგვარის გაკეთება არ მინდა. მე მინდა ყველაფერი შევისწავლო.

- სიმართლე რომ გითხრა, წინააღმდეგი არ ვარ - უთხრა დედამ - თუ კი არაფერს აურევ.

კორალინა ფანჯარასთან მივიდა და წვიმას დააკვირდა. ეს არ იყო ისეთი წვიმა, გარეთ გასვლა რომ შეიძლება. ეს სხვანაირი წვიმა იყო. ისეთი, ციდან კოკისპირულად რომ იღვრება და შხაპუნით ეცემა მიწას. ეს იყო "გამიზნული" წვიმა. ახლა კი მის მიზანს ბაღის გატალახიანება და სველ გუბედ ქცევა წარმოადგენდა.

კორალინამ უყურა ყველა ვიდეოს. დაიღალა სათამაშოებით და წაიკითხა ყველა წიგნი, რაც კი გააჩნდა. ჩართო ტელევიზორი. არხიდან არხზე დახტოდა, მაგრამ თოქ-შოუებისა და შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი კაცების გარდა, რომლებიც საფონდო ბირჟებს განიხილავდნენ, არაფერი გადიოდა. ბოლოს და ბოლოს კორალინამ იპოვა რაღაც საინტერესო, რისი ყურებაც შეიძლებოდა - გადაცემა ცხოველთა სამყაროს შესახებ. უკვე გადაცემის მეორე ნახევარი გადიოდა ცხოველთა დამცველობით შეფერილობაზე. მან ნახა, საფრთხისგან თავის დასაცავად როგორ ემსგავსებოდნენ ცხოველები, ჩიტები და მწერები ფოთლებს, ტოტებს თუ სხვა ცხოველებს, კორალინას ძალიან მოეწონა გადაცემა, მაგრამ ის, სამწუხაროდ, მალევე დამთავრდა და ახალი გადაცემა დაიწყო ნამცხვრების ქარხანაზე.

დრო მოვიდა, კორალინა მამას დალაპარაკებოდა.

მამამისი სახლში გახლდათ. ორივე, დედაც და მამაც, კომპიუტერთან მუშაობდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი დროის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებდნენ. ორივეს საკუთარი კაბინეტი ჰქონდა.

- სალამი კორალინა - უპასუხა მამამისმა ისე, რომ არც კი შეუხედავს, როცა კორალინა მის კაბინეტში შევიდა.

- ჰმმ... - ჩაიდუდღუნა კორალინამ - გარეთ წვიმს.

- მართალია - უპასუხა მამამ - ცა თავზე გვექცევა.

- არაფერიც - შეეპასუხა კორალინა. - უბრალოდ წვიმს. შეიძლება გარეთ გავიდე?

- დედამ რა გითხრა?

- ასე მითხრა: ,,ასეთ ამინდში გარეთ ცხვირსაც ვერ გაყოფ, კორალინა ჯონს.“

- მაშინ არ შეიძლება.

- მაგრამ მე ყველაფრის შესწავლამინდა გავაგრძელო.

- ჰოდა სახლი გამოიკვლიე - შესთავაზა მამამ. - აი ქაღალდი და კალამი. გადათვალე ყველა კარი და ფანჯარა. ჩამოწერე ყველაფერი ლურჯი. მოაწყვე ექსპედიცია ცხელი წყლის ბაკის აღმოსაჩენად. მე კი მარტო დამტოვე და მუშაობაში ხელი აღარ შემიშალო.

- შეიძლება სასტუმრო ოთახში შევიდე?

სასტუმრო ოთახში ჯონსები ყველაზე ძვირადღირებულსა (და მოუხერხებელ) ავეჯს ინახავდნენ, რომელიც კორალინას ბებიის გარდაცვალების შემდეგ დარჩათ. კორალინას იქ არ უშვებდნენ. იქ არავინ შედიოდა, რჩეულების გარდა.

- თუ არაფერს აურევ და არაფერს შეეხები.

კორალინამ ყველაფერი ზედმიწევნით გაიაზრა, შემდეგ კი აიღო ქაღალდი და საწერი კალამი და სახლის შესასწავლად გაემართა.

მან აღმოაჩინა ცხელი წყლის ბაკი - სამზარეულოს საკუჭნაოში.

გადათვალა ყველაფერი ლურჯი - 153.

გადათვალა ყველა ფანჯარა - 21.

გადათვალა ყველა კარი - 14.

იმ კარებთაგან, რომლებიც კორალინამ აღმოაჩინა, ცამეტი იხსნებოდა და იხურებოდა. მეთოთხმეტე კი - დიდი, მოჩუქურთმებული, ხის ყავისფერი კარი სასტუმრო ოთახის შორეულ კუთხეში - ჩაკეტილი იყო.

კორალინამ დედას ჰკითხა: - ეს კარი სად გადის?

- არსად, საყვარელო.

- მაგრამ მის მიღმა ხომ უნდა იყოს რაღაც?

დედამისმა თავი ასწია და მიუგო: - თავად ნახე.

კორალინას დედამ გასაღებების ასხმულა გადმოიღო სამზარეულოს კარის ჩარჩოდან და მათ შორის ყველაზე ძველი, დიდი, შავი და დაჟანგული გასაღები ამოარჩია. შემდეგ სასტუმრო ოთახში შევიდნენ და დედამ ამ გასაღებით გახსნა კარი.

კარი ჭრიალით გაიღო.

დედა მართალი გამოდგა. კარი არსად გადიოდა. მის მიღმა მხოლოდ აგურის კედელი აღმართულიყო.

- როდესაც ეს სახლი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა - თქვა დედამ, - ეს კარი სადღაც გადიოდა, მაგრამ როცა სახლი ბინებად დაჰყვეს, ის უბრალოდ აგურებით ამოაშენეს. კარს უკან ცარიელი ბინაა, რომელიც ჯერ არ გაყიდულა.

დედამ კარი დახურა, გასაღებების ასხმულა კი ისევ კარის ჩარჩოზე შემოდო.

- კარი არ ჩაგიკეტავს.- შეახსენა კორალინამ.

დედამ მხრები აიჩეჩა - რატომ უნდა ჩავკეტო? - იკითხა, - ის მაინც არსად გადის.

კორალინამ პასუხი არ გასცა. გარეთ უკვე შებინდებულიყო. წვიმა კი ისევ ცრიდა, ფანჯრებს ეწკაპუნებოდა და ქუჩაში მოსიარულე მანქანების შუქფარებს აბუნდოვანებდა. კორალინას მამამ მუშაობა შეწყვიტა და ყველასათვის მოამზადა სადილი.

კორალინას ზიზღისგან გააჟრჟოლა:– მამა, ისევ რეცეპტის მიხედვით მოამზადე საჭმელი?

- ეს არის ჩაშუშული პრასი და კარტოფილი აბზინდის გარნირითა და გაუერის მდნარი ყველით - აღნიშნა მამამ.

კორალინამ ამოიოხრა. შემდეგ კი მაცივართან მივიდა და გაყინული პიცა და ბურღულეული გამოიღო.

- ხომ იცი, რომ არ მიყვარს რეცეპტები - შესჩივლა მამას, სანამ მისი სადილი ღუმელში ტრიალებდა და წითელი რიცხვები ღუმელზე ნულამდე ჩამოვიდოდა.

- იქნებ, რომ გაგესინჯა მოგწონებოდა კიდეც - უთხრა მამამ, მაგრამ კორალინამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

იმ ღამით კორალინა საწოლში ტრიალებდა. წვიმას გადაეღო, საცაა ჩაეძინებოდა, რომ რაღაცის ხმა გაისმა. ტტტტტ... კორალინა ლოგინზე წამოჯდა.

რაღაცამ გაიჭრიალა. ჭრრრრ... ااااკრ...

კორალინა ლოგინიდან წამოხტა და დერეფანში გაიხედა, მაგრამ უცნაური ვერაფერი შენიშნა. შემდეგ დერეფანს ჩაუყვა. მშობლების საძინებელი ოთახიდან ხმადაბალი ხვრინვა მოისმოდა,- ეს მამა იყო. ბუტბუტი კი, რომელიც დრო და დრო გამოდიოდა, დედას ეკუთვნოდა.

კორალინამ იფიქრა, ეს ყველაფერი ხომ არ მესიზმრებაო.

რაღაც შეირხა.

დერეფანში რაღაც ჩრდილის მსგავსმა შავმა ლაქამ ჩაირბინა.

ოღონდ ობობა არ იყოს, - გაიფიქრა კორალინამ. ობობები კორალინას მეტისმეტად უსიამოვნო შეგრძნებას აღუძრავდნენ.

შავი ჩრდილი სასტუმრო ოთახში გაუჩინარდა და კორალინაც ნერვულად უკან გაჰყვა.

ოთახში ბნელოდა. კართან მდგომმა კორალინამ დერეფნიდან შემოსულ სინათლეში უზარმაზარი, უფორმო ჩრდილი გაარჩია ხალიჩაზე, რომელიც ვეებერთელა, გამხდარ ქალს ჰგავდა.

კორალინას ვერ გადაეწყვიტა, აენთო თუ არა ოთახში შუქი. ამსობაში ჩრდილი ნელ–ნელა გამოძვრა სავარძლის ქვემოდან. ცოტა ხნით შეყოვნდა. შემდეგ კი ჩუმად გადაირბინა ხალიჩა ოთახის შორეული კუთხისკენ.

ოთახის იმ კუთხეში ავეჯი არ იდგა.

კორალინამ შუქი აანთო.

იმ კუთხეში არაფერი არ იყო. მხოლოდ ძველი კარი, რომელიც აგურის კედლის პირისპირ შეღებულიყო.

კორალინა დარწმუნებული იყო, რომ დედამ კარი დახურა. ახლა კი ის ოდნავ შეღებულიყო. ალბათ სწორედ ის ჭრიალებდა. კორალინამ კარი გამოაღო და შეიხედა. იქ არაფერი იყო. მხოლოდ წითელი აგურით ამოშენებული კედელი.

კორალინამ მიხურა ხის ძველი კარი, ჩააქრო შუქი და დასაძინებლად წავიდა.

იმ ღამეს კორალინას შავი ჩრდილები ესიზმრა, რომლებიც ადგილიდან ადგილზე დასრიალებდნენ, ისე რომ სინათლეს ერიდებოდნენ. ბოლოს, კი ყველა ერთად მთვარის ქვეშ გაერთიანდა. მომცრო შავი ფორმებით, პატარა წითელი თვალებითა და ბასრი ყვითელი კბილებით.

და მათ სიმღერა დაიწყეს.

ჩვენ პატარები ვართ, მაგრამ ბევრნი
ჩვენ ბევრნი ვართ, პატარები
ჩვენ აქ ვიყავით, სანამ იზრდებოდი
და აქ ვიქნებით, როცა დაეცემი.

მათ მაღალი, მოჩურჩულე ხმები ჰქონდათ, რომელიც ზმუილს წააგავდა. კორალინას უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

ამის მერე გოგონას რამდენიმე რეკლამა დაესიზმრა, შემდეგ კი - საერთოდ არაფერი.

სომერსეტ მოემი



სომერსეტ მოემი (25 იანვარი, 1874წ – 16 დეკემბერი, 1965 წ) ინგლისელი რომანისტი, დრამატურგი და მწერალია, რომლის შემოქმედება ხასიათდება ადამიანური ბუნების ღრმა ცოდნითა და ფსიქოლოგიური შტრიხების ოსტატურად გადმოცემით. მოემს უამრავი საინტერესო ნამუშევარი აქვს, რომელთაგან უცილობლად უნდა აღინიშნოს ის 100-ზე მეტი მოთხრობა, რომელიც მან გამოსცა. “ The Dream” ერთ-ერთი მათგანია, რომლის ქართული ვერსიაც ერთვის წინასიტყვაობას. იგი მისტიური შეგრძნების მატარებელია და ავტორიც მკითხველს უთმობს ასპარეზს ვერდიქტის გამოსატანად.

წარმოიდგინეთ, რომ სიზმარი შეიძლება იყოს ისეთი მარტივი ხასიათის ,როგორც საწოლიდან გადმოვარდნაა ან იმდენად სერიოზული სახის, როგორიცაა კიბიდან, შენობიდან , მთიდან, კლდიდან ან თუნდაც, თვითმფრინავიდან პარაშუტის გარეშე ჩამოვარდნა. შედეგი მეტ-ნაკლებობით ერთგვაროვანია: საწოლიდან წამოვარდნილი, მოცახცახე, ოფლში მცურავი თუ გულამოვარდნილი ახლადგამოღვიძებული. სომერსეტ მოემი ყვება ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის ისტორიას, რომელიც მან რუსი მოგზაურისგან მოისმინა.

სიზმარი

(თარგმნა თეონა ოთხოზორიამ)

შემთხვევით მოხდა, რომ 1917 წლის აგვისტოს მივლინებით ნიუ-იორკიდან პეტროგრადში გამგზავრება მომიხდა. გამაფრთხილეს, უსაფრთხოების მიზნით ვლადივოსტოკის გზით წავსულიყავი. დილით ჩავფრინდი და შევეცადე თავისუფალი დღე მაქსიმალურად კარგად გამეტარებინა. ციმბირისკენ მიმავალი მატარებელი, როგორც მახსოვს, საღამოს 9 საათისთვის გადიოდა. მარტომ ვისადილე სადგურის რესტორანში. ხალხი ირეოდა და მეც პატარა მაგიდას მივუჯექი, ერთი მამაკაცის გვერდით, რომლის გარეგნობამაც ჩემი ყურადღება მიიქცია. ეს იყო რუსი, მაღალი ყმაწვილი, მაგრამ საოცრად მსუქანი და იმდენად დიდი ღიპით, რომ მაგიდიდან საკმაოდ მოშორებით უწევდა ჯდომა. თავის ზომასთან შედარებით პატარა ხელები ქონის ნაკეცებში ჩაკარგვოდა. გრძელი, მუქი შეფერილობის თხელი თმა გვირგვინზე გადაევარცხნა, სიმელოტის დასაფარად; უზარმაზარი, სუფთად გაპარსული მოყვითალო სახე კი ვეებერთელა ორკეცი ნიკაპით უხამსი სიშიშვლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პატარა ცხვირი სასაცილო პაწაწინა ღილაკივით მიკვროდა ამხელა ხორცის მასაზე. მცირე ზომის შავი, ელვარე თვალები და მოულოდნელად წითელი და ვნებიანი ბაგეები ჰქონდა. კოხტად გამოწყობილიყო შავ კოსტუმში, რომელსაც ძველი არ ეთქმოდა, მაგრამ გაცრეცილი კი იყო, თითქოს ჩაცმის დღიდან არც დაეუთოვებიათ და არც გაუწმინდიათო.

მომსახურეობა ცუდი იყო და თითქმის შეუძლებელი გახდა მიმტანისთვის ხმის მიწვდენა. მალე საუბარი დავიწყეთ. რუსი გამართულად და თავისუფლად მეტყველებდა ინგლისურად, შესამჩნევი, მაგრამ არა დამღლელი აქცენტით. მან ბევრი რამ მკითხა ჩემზე და ჩემს გეგმებზე. ვინაიდან ჩემი საქმიანობა ამავე დროს, სიფრთხილეს მოითხოვდა, მოჩვენებითი გულახდილობით ვპასუხობდი. მკითხა, ბელეტრისტიკაში თავი როდესმე მიცდია თუ არა და როდესაც გამოვუტყდი, რომ თავისუფალ დროს კალამი ხელში მიჭერავს– მეთქი, საუბარი რუს მწერლებზე წამოიწყო. გონივრულად ბაასობდა. ეტყობოდა განათლებული ადამიანი რომ იყო.

ამ დროისთვის უკვე მოვახერხეთ მიმტანის დაყოლიება, ჩვენთვის კომბოსტოს სუპი მოეტანა. ჩემმა ნაცნობმა კი არყის ბოთლი ამოიღო ჯიბიდან და მეც კომპანიონობის გაწევა შემომთავაზა. არ ვიცი, მისი კომუნიკაბელურობა არაყს დავაბრალო თუ რასისთვის დამახასიათებელ ყბედობას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ

უკითხავად მომითხრო რაღაცები საკუთარ თავზე. წარჩინებული გვარისა ყოფილა, პროფესიით ადვოკატი და რადიკალი. ხელისუფლებასთან შექმნილი სირთულეების გამო გარკვეული ხნის მანძილზე საზღვარგარეთ ყოფნა მოუხდა, მაგრამ ახლა სახლში ბრუნდებოდა. საქმემ ვლადივოსტოკში დააყოვნა, თუმცა იმედოვნებდა, რომ მოსკოვში ერთ კვირაში მაინც გაემგზავრებოდა და, თუ მეც ჩავიდოდი, სიხარულით მიმასპინძლებდა..

–დაოჯახებული ხართ? -მკითხა მოსაუბრემ.

ვერ მივხვდი, რა მისი საქმე იყო, მაგრამ, მაინც, დადებითად ვუპასუხე. ახალგაზრდამ დარდით ამოიხვნეშა.

–მე კი ქვრივი ვარ-თქვა მან, –ჩემი მეუღლე შვეიცარიელი გახლდათ, წარმოშობით ჟენევიდან. ძალიან დახვეწილი ქალი იყო. სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებს. ფრანგული, რაღა თქმა უნდა, თავისი მშობლიური ენა იყო. რუსული კი, უცხოელის კვალობაზე, კარგად იცოდა, თითქმის უაქცენტოდ.

ჩემმა მოსაუბრემ დაუძახა მიმტანს, რომელსაც თეფშებით დატვირთული ლანგარი მიჰქონდა და, ვინაიდან რუსული ცუდად მესმოდა, ვივარაუდე, რომ ჰკითხა, თუ კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევდა მომდევნო კერძის ლოდინი. მიმტანმა სწრაფი, მაგრამ ალბათ დამარწმუნებელი შეძახილით, ფეხს აუჩქარა და ჩემმა მეგობარმაც კიდევ ერთხელ ამოიხვნეშა.

–რევოლუციის შემდეგ რესტორნებში ლოდინი აუტანელი გახდა.

თავის მეოცე სიგარეტს მოუკიდა, მე საათს დავხედე და ჩემ თავს ვკითხე, გამგზავრებამდე ნოყიერი საჭმელი მეღირსებოდა თუ არა.

–ჩემი მეუღლე საუცხოო ქალი იყო,- განაგრძო მან, – ენებს ასწავლიდა დიდგვაროვანთა ქალიშვილებს, პეტროგრადის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში. დიდი ხნის მანძილზე ჩვენ მეგობრულად ვცხოვრობდით, თუმცა ეჭვიანი იყო და საუბედუროდ, გაგიჟებით ვუყვარდი.

კინაღამ სიცილი წამსკდა. ის ერთ-ერთი ყველაზე უშნო კაცი იყო, რომელიც კი როდესმე მენახა. ზოგჯერ არის კიდეც გარკვეული მომხიბლაობა ღაჟღაჟა და გულღია მსუქან მამაკაცებში, მაგრამ მისი უკიდეგანო სიმსუქნე მართლაც გულისამრევი იყო.

– ვერ მოვიტყუები, ბოლომდე ერთგული არ ვყოფილვარ... , როცა დავქორწინდით , ახალგაზრდა არ ყოფილა. ათი წელი დავყავით ერთად. პატარა და გამხდარი ტანისა იყო, პრობლემური კანითა და მწარე ენის პატრონი. ეს იყო ქალი, რომელიც მესაკუთრეობის დაუოკებელი სურვილით იტანჯებოდა და ვერ იტანდა, როცა მის გარდა სხვა ვინმეს მივაქცევდი ყურადღებას. ეჭვიანობდა არა მარტო იმ ქალებზე, რომელთაც ვიცნობდი, არამედ ყველა ჩემს მეგობარზე, ჩემს კატასა და წიგნებზეც კი.

ერთხელ, ჩემი არყოფნის დროს, მან ერთ–ერთი ჩემი პიჯაკი მხოლოდ იმიტომ გააჩუქა, რომ ყველა პიჯაკს მერჩივნა. მე მშვიდი ხასიათისა ვარ. ვერ ვიტყვი, თავს არ მაბეზრებდა– მეთქი, მაგრამ მის ღვარძლიან ხასიათს ღვთის განგებად მივიჩნევდი და აჯანყებაზე არც კი ვფიქრობდი; მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ცუდ ამინდთან თუ სურდოსთან ჭიდილის მსგავსი იქნებოდა. მის ბრალდებებს უარვყოფდი მანამ, სანამ შეიძლებოდა და მაშინ , როდესაც უკვე შეუძლებელი ხდებოდა, მხრებს ავიჩეჩავდი და სიგარას მოვწევდი ხოლმე.

გამუდმებული სცენები ჩემზე დიდ გავლენას არ ახდენდა. საკუთარი ცხოვრების რუტინას მივყვებოდი. ზოგჯერ მართლა მაინტერესებდა, მისი ასეთი საქციელი ჩემ მიმართ მგზნებარე სიყვარულის გამოხატვა იყო თუ დაუოკებელი სიძულვილისა. მეჩვენებოდა, რომ სიყვარული და სიძულვილი ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან.

–იქნებ სამუდამოდ ამგვარად გაგრძელებულიყო ჩვენი ურთიერთობა, ერთ ღამეს უცნაური რამ რომ არ მომხდარიყო. ჩემი ცოლის განწირულმა ყვირილმა გამომაღვიძა. შეშინებულმა ვკითხე, რა მოხდა– მეთქი. მომიგო, საშინელი კოშმარი ვნახეო. დაესიზმრა, თითქოს მის მოკვლას ვცდილობდი. ვცხოვრობდით უზარმაზარი სახლის ზემო სართულზე, რომელსაც ჰქონდა მომრგვალებული ფართო კიბეები. მითხრა,ჩვენ სართულზე რომ ავედით,დამიჭირე და მოაჯირიდან ჩემ გადაგდებას ცდილობდიო. სახლი ექვსსართულიანი იყო, ქვის იატაკით და ეს გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა.

კანკალს აეტანა. ვეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ მომდევნო დილას და ორი თუ სამი დღის შემდეგ, კვლავ ამ თემას შეეხო და მიუხედავად ჩემი ირონიული დამოკიდებულებისა, ვამჩნევდი, რომ გონებაში ღრმად ჩაბეჭდოდა. ვერც მე ვიშორებდი თავიდან ამაზე ფიქრს, ვინაიდან ამ სიზმარმა დამანახა ის, რაც ეჭვადაც კი არ მქონია. მითხრა, რომ ვძულდი და სიხარულით მოვიცილებდი თავიდან. რა თქმა უნდა, მან იცოდა ,რომ აუტანელი იყო და ის აზრი, რომ მისი მოკვლა შემეძლო, რეალურად ეჩვენებოდა. ადამიანი უამრავ რამეზე ფიქრობს და ზოგჯერ ისეთი აზრები გვიჩნდება გონებაში, რომელთა აღიარებისაც კი გვრცხვენია.ზოგჯერ მიოცნებია, რომ საყვარელთან ერთად გაქცეულიყო, ზოგჯერ კი ,უმტკივნეულო და უცაბედ სიკვდილს დაებრუნებინა ჩემი თავისუფლება. მაგრამ არასოდეს, არასოდეს მომსვლია თავში აზრად განზრახ მომეცილებინა თავიდან ეს აუტანელი სიმძიმე.

–სიზმარმა გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ორივე ჩვენგანზე. ჩემი მეუღლე შეაშინა , ნაკლებ გესლიანი და უფრო შემწყნარებელი გახადა. მაგრამ როდესაც ჩვენი ოთახისკენ მიმავალ კიბეებს ავუყვებოდი ხოლმე, მიჭირდა, არ შემეხედა მოაჯირისთვის და არ წარმომედგინა, თუ რამდენად მარტივად შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მას დაესიზმრა. კიბეს მეტისმეტად დაბალი და, შესაბამისად,

სახიფათო მოაჯირი ჰქონდა. ერთი სწრაფი მოძრაობა და ყველაფერი დამთავრდებოდა. რთული იყო ამ აზრის თავიდან ამოგდება. რამდენიმე თვის შემდეგ ჩემმა მეუღლემ ღამით გამომაღვიძა. ძალიან დაღლილი ვიყავი და გავბრაზდი, მას კი სახეზე ფერი არ ედო და თან ცახცახებდა. იგივე სიზმარი ენახა. ცხარედ ტიროდა და მეკითხებოდა, გძულვარო? რუსული საეკლესიო კალენდრის ყველა წმინდანი დავიფიცე, რომ მიყვარდა. ბოლოსდაბოლოს, კვლავ დასაძინებლად დაწვა. მე კი მივხვდი, რომ ამას ვეღარ გავუძლებდი. ვერ დავიძინე. წარმოვიდგენდი, როგორ ვარდებოდა კიბეებიდან და მესმოდა მისი კივილი და დაცემის ხმა, ქვის იატაკზე დანარცხებისას. მაცახცახებდა, თავს ვერ ვიკავებდი.

რუსი გაჩერდა, შუბლი დაენამა. ამბავს იმდენად საინტერესოდ და გამართულად ყვებოდა, რომ ყურადღებით ვუსმენდი. ბოთლში არაყი ჯერ კიდევ იყო დარჩენილი. ჩამოისხა და სულმოუთქმელად გადაკრა.

–და, ბოლოსდაბოლოს, როგორ გარდაიცვალა თქვენი მეუღლე?-ვკითხე მცირე პაუზის შემდეგ.

ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა.

–უცნაური დამთხვევაა, მაგრამ გვიან ღამით იპოვეს კიბის ძირას კისერმოტეხილი.

–ვინ იპოვა?

–ერთ-ერთმა მდგმურმა, რომელიც ამ უბედური შემთხვევის შემდეგ მალევე მოვიდა

–და თქვენ სად იყავით?

ენით ვერ აღვწერ, თუ როგორ მომაპყრო ღვარძლიანი, ცბიერი მზერა. პატარა, შავი თვალები უელვარებდა.

–საღამოს ჩემს მეგობართან ვატარებდი. ერთი საათით გვიან მივედი.

ამ დროს მიმტანმა მოგვიტანა შეკვეთილი ხორციანი საჭმელი, რომელსაც რუსი მადისაღმძვრელად დააცხრა. პირში კერძის უზარმაზარ ლუკმებს იყრიდა.

მე კი გაოგნებული დავრჩი. ნუთუ მართლა მიყვებოდა მეუღლის მკვლელობის ამბავს ასეთი შენიღბული ხერხით? ეს მსუქანი და ზანტი კაცი სრულებითაც არ ჰგავდა მკვლელს. ვერ ვიჯერებდი, რომ საამისოდ გამბედაობა ეყოფოდა. იქნებ უბრალოდ ბოროტად გამეხუმრა?

რამდენიმე წუთში ჩემი წასვლის დროც დადგა. მატარებელში ასვლის დრო იყო. იქ დავშორდით და მას შემდეგ აღარ მინახავს. დღემდე ვერაფრით მივმხვდარვარ, მისი ამბავი სინამდვილე იყო თუ ხუმრობა.

ურსულა უილს ჯონსი



ურსულა უილს-ჯონსი დაიბადა და გაიზარდა გლოსტერშირში. ამ დროისათვის ის ცხოვრობს ბრისტოლში, დიდ ბრიტანეთში. მისი შემოქმედება შთაგონებულია ადამიანებით და ადგილებით სამხრეთ-დასავლეთიდან. ურსულა წერს მოთხრობებს, პიესებს და რომანებს. მისი ნაშრომები ქვეყნდება რადიო 4-ში და Bristoll old vic-ში. ასევე იბეჭდება The guardian-შიც.

დროის დამლაგებლები

(თარგმნა ხატია სეფიაშვილმა)

დროის დამლაგებლებს შეიძლება არ იცნობდეთ. დროის დამლაგებლები არიან არსებები, რომლებსაც თქვენ მიერ დაკარგული დრო მიაქვთ. თქვენ არ შეგიძლიათ მათი დანახვა, თუმცა თუკი რკინიგზის სადგურზე მყოფმა რაღაცას მოჰკარით თვალი, ეს შესაძლოა სწორედ დროის დამლაგებელი იყოს, რომელიც იმ მერხთან ასუფთავებს, სადაც თქვენ ზიხართ. მათი დანახვა

რომ შეგეძლოთ, დაინახავდით პატარა, მოლურჯო არსებას დაჟინებული მზერით, ხელში ცოცხით და იატაკის საწმენდით. კაცებს კომბინიზონები აცვიათ, ქალებს- ძველმოდური ტვიდის ქვედატანი, თავზე კი თავსახვევი უკეთიათ.

დრიოს დამლაგებლები იქ ჩნდებიან, სადც დროს ფლანგავენ ან კარგავენ. რამდენიმე მათგანი ყოველთვის არის რკინიგზის სადგურზე, ხოლო სულ მცირე ერთი მაინც– ექიმის მოსაცდელში. კაცს, რომელსაც ჭაღარა შეერია, სანამ მეგობარ გოგონას ცოლობას სთხოვდა, აუცილებლად ეყოლება საკუთარი დროის დამლაგებელი. ქალს, რომელმაც ოცდათხუთმეტი წელი გაატარა უძრავი ქონების სააგენტოში და ყვავილების მაღაზიის გახსნაზე ოცნებობს, აუცილებლად ეყოლება დროის დამლაგებელი მეზობლად, რომელიც ოხვრით მიდის უფრო დიდი აქანდაზის მოსატანად.

ნუ იფიქრებთ, თითქოს დროის დამლაგებლების სამუშაო მონურია. ისინი არასდროს იღლებიან. ისინი არ ფიქრობენ, რომ არასწორ კარიერას იკეთებენ. მათ არაჩვეულებრივი სამუშაო პირობები აქვთ და უცნობია, თუ რას აკეთებენ დასვენების დროს. მათ მოსწონთ ბანკების უქმე დღეები, რადგან ამ დროს ჩვეულებრივზე მეტი თავისუფალი დრო ჩნდება. შობას და ახალ წელს დროის დამლაგებლებს ერთკვირიანი შვებულება აქვთ. იანვარში კი, სამუშაოზე დაბრუნების შემდეგ, უამრავი დრო ხვდებათ, რომელიც ადამიანებმა დაკარგეს დღესასწაულებზე. დაახლოებით სამი კვირაა საჭირო წესრიგის აღსადგენად, სწორედ ამიტომ, იანვარი დანარჩენ თვეებზე უფრო ხანგრძლივი ეჩვენებათ.

დროის დამლაგებლები ყოველთვის იყვნენ ჩვენს გარშემო, თუმცა თანამედროვე საზოგადოება იმდენ დროს ფლანგავს, რომ დროის დამლაგებლები იძულებულნი არიან, თავიანთი სამუშაო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეასრულონ. ამისთვის შეიძინეს რამდენიმე კომპრესორიანი მანქანა, ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივ სანაგვე მანქანები იყენებენ. ამ მანქანებს იყენებენ ციხეებში და დიდ სავაჭრო ცენტრებში,სადაც გაფლანგული დროის განსაკუთრებით დიდი რაოდენობა შთანთქმით ემუქრება ყველაფერს.

დროის დამლაგებლები საოცარ რამეს ამბობენ: დრო, რომელიც სასიამოვნოდ გადის, არასდროსაა გაფლანგული. ოფისში, სადაც საოცარი მოწყენილობა სუფევს, ისინი გვერდს უვლიან მაგიდას, რომელთანაც ქალი ზის და დასასვენებელი ადგილების კატალოგს ათვალიერებს. ისინი ასევე გვერდს უვლიან კაცს, რომელიც წარმოიდგენს თუ როგორ გამოიყურება მისი სიდედრი ტანსაცმლის გარეშე. ბოლოს კი ჩერდებიან მაგიდასთან, რომელთანაც ახალგაზრდა კაცი ზის და ტანჯვით გაჰყავს დრო.

შეიძლება დაინტერესდეთ, რა მოსდის დროს, მას შემდეგ რაც დროის დამლაგებლებს მიაქვთ. ნუ ღელავთ, დროის დამლაგებლები მას გულმოდგინედ გადაამუშავებენ. ისინი დროს აგროვებენ, დიდ კონტეინერებში ყრიან და ლივერპულის ნავსადგურში მიაქვთ. აქ კი გემზე იტვირთება და ინდოეთში მიდის. რომელიღაც ბინძურ ადგილას, ბომბეისთან ახლოს, დროს ასუფთავებენ და ახარისხებენ. ყველაზე სახიფათო- ჩაშლილი სამშვიდობო მოლაპარაკებები, უსამართლო დაპატიმრებები, მომწამვლელი ქორწინებები იმარხება ყოფილი არმიის გაუქმებულ ბაზაზე, ორსაუკუნოვანი ლპობის შემდეგ კი კვლავ უსაფრთხო ხდება.

დანარჩენი დრო - მოსაწყენი შეხვედრები, გაცდენილი პაემნები, გაშვებული ავტობუსები- იწმინდება და კვლავ გემზე იტვირთება, საიდანაც ჩინეთში, გუანგზოს ინდუსტრიულ საექსპორტო ზონაში მიაქვთ. აქ დრო კომპრესირდება და შემდგომი დისტრიბუციისთვის საწყობდება. ამ დროის ოცი პროცენტი პირდაპირ გუანგზოს საექსპორტო ზონაში მოდის, რომელსაც მსოფლიოში უმაღლესი პროდუქტიულობის მაჩვენებელი აქვს. მეოთხედს კი ჩინეთის მთავრობა ყიდულობს. ათი პროცენტი ყველაზე კონცენტრირებული ნედლეული კალიფორნიის კრიოგენიის ლაბორატორიას მიეწოდება. დარჩენილი ოცი პროცენტი საიდუმლოდ იყიდება კერძო კლიენტებზე, უმეტესად მდიდარ, ხანდაზმულ მამაკაცებზე, რომლებიც ახალგაზრდა , ლამაზ ქალებზე არიან დაქორწინებულნი.

თუმცა, დროის დამლაგებლებისთვს ეს სამუშაო დიდად სარგებლიანი არ არის. ისინი ფარავენ მტვერსასრუტების, ნაგვის ჩანთების, უნიფორმების ხარჯებს. დანარჩენი დრო კი კარგი მიზნებისთვის ნაწილდება. მათ, ვინც საჩუქრად იღებს დამატებით დროს, არ სჭირდებათ რაიმე განაცხადის შევსება ან თხოვნა დროის მისაღებად. მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ, რომ დასასაჩუქრებელთა სიაში არიან. ერთ-ერთი არის ღარიბი, გადაღლილი მეცნიერი დანგრეულ საჯარო ლაბორატორიაში ნოვოსიბირსკის მახლობლად. ეს ის კაცია, ვინც მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნა. მეორე არის მეძავი ნაირობის ბარაკებიდან, რომელსაც ჩვიდმეტი შვილი ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოცი წელია ამ საქმეს ემსახურება, არასდროს იღლება. მესამე კი ინდოელი ტაქსის მძღოლია ტორონტოს პატარა ბინაში, რომელიც ფულს უგზავნის ავადმყოფ ცოლს და შვილებს და თან წერს მოთხრობას, რომელსაც მოგვიანებით აღიარებენ, როგორც საუკუნის საუკეთესო მოთხრობას.

დროის დამლაგებლები მხოლოდ ადამიანებს არ ასაჩუქრებენ. ტიმბუქტუდან ორმოცი მილის დაშორებით , ქვიშაში დამარხული შუასაუკუნეების მეჩეთი იღებს საჩუქრად დროს ყოველ დეკადაში. სადღაც ეგეოსის ზღვაში ტროას გალერეა სასწაულებრივად შემონახულა შლამში. მის მსგავსად დროის დამლაგებლები ჩუქნიან დროს ტაძარს მექსიკაში.

გასაჩუქებელი დროის გარკვეული ნაწილი გადანახულია საგანგებო სიტუაციებისთვის. მათ პარაშუტით უშვებენ საჭირო დროს: სამშვიდობო მოლაპარაკებებისას, ბრძოლის შესაჩერებლად…

დროის დამალაგებლები თავიანთი ბუნებით სუფთა და წესრიგის მოყვარულნი არიან. მათ სურთ, რომ ადამიანებმა უფრო მეტი იფიქრონ დროზე- ამ ღირებულ საქონელზე.

ამ მოთხრობას მორალი არ აქვს.უბრალოდ, სანამ დროის უქმად დაკარგვას გადაწყვეტთ, გახსოვდეთ, მას ვიღაც აუცილებლად წაიღებს.

უილიამ სომერსეტ მოემი

უილიამ სომერსეტ მოემი (1874 – 1965) ინგლისელი დრამატურგი, მწერალი, რომანისტი და 1930-იანი წლების ყველაზე მაღალანაზღაურებადი ავტორია. მიუხედავად იმისა, რომ მოემი ერთ-ერთი იმ მწერალთაგანია, რომელმაც აღიარება სიცოცხლეშივე მოიპოვა, მისი ცხოვრების ყოველი ეტაპი განსაცდელებით იყო აღსავსე. მას ბავშვობაშივე მოუწია მშობლების გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის განცდა, ყმაწვილობაში კი - სხვათა ტკივილის შემსუბუქებისთვის გარჯა, თუმცა მისი მოწოდება მწერლობა უფრო იყო, ვიდრე ექიმობა. მისი პირველი, წარმატებული, რომანი იყო ,,ლიზა ლამბერტიდან“. მოემი მოესწრო ორივე მსოფლიო ომს. მისი ცხოვრების ამ ბიოგრაფიულმა ფაქტებმა განსაზღვრეს ის, რომ მას კარგად ესმოდა ადამიანის ბუნება, რაც კარგად ჩანს მოემის ყველა ნაწარმოებში. მისი წერის სტილი მარტივი და ლაკონურია. რისი კარგი ნიმუშიცაა მოთხრობა ,,საუზმე“, რომელიც გაჯერებულია იუმორითა და ირონიით. ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, მკითხველს სხვადასხვა გრძნობა ეუფლება, ერთნი თანაუგრძნობენ ახალგაზრდა მწერალს, მთხრობელსა და მთავარ გმირს, მეორენი კი განსჯიან მის ქმედებებს.

საუზმე

(**თარგმნა** თინათინ მანაგაძემ)

სპექტაკლის მიმდინარეობისას მას შემთხვევით მოვკარი თვალი. ქალმა მისალმების ნიშნად თავი დამიკრა, და მეც, ანტრაქტის დროს, მისკენ გადავინაცვლე. დიდი ხანი იყო არ მენახა და სახელი რომ არ შეეხსენებინათ, ვეღარც კი ვიცნობდი. მხიარულად მომესალმა და საუბარიც წამოიწყო.

– რამდენი ხანია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. როგორ გარბის დრო! ახალგაზრდობაც წლებთან ერთად გაფრინდა. გახსოვთ, პირველი შეხვედრისას, მსუბუქად წახემსება რომ შემომთავაზეთ?

რა დამავიწყებდა.....

ეს მოხდა 20 წლის წინ. მაშინ პარიზში ვცხოვრობდი, ერთ პატარა ბინაში, ლათინურ ნაწილში, რომელიც სასაფლაოს გადაჰყურებდა. ჩემი შემოსავლით თვიდან თვემდე ძლივს გამქონდა თავი. უცნობ ქალბატონს ჩემი წიგნი წაეკითხა და მის შესახებ მწერდა. სიამოვნებით ვუპასუხე და მადლობაც გადავუხადე. მალე ახალი წერილი მივიღე, რომელშიც მატყობინებდა, პარიზში გავლით ჩამოვდივარ და თქვენთან შეხვედრა მინდაო. საქმე ის იყო, რომ თავისუფალი დრო მხოლოდ მომდევნო ხუთშაბათს ჰქონდა და ჩემთან საუბარი სურდა. ლუქსემბურგის მახლობლად გაჩერდებოდა და მთავაზობდა, ''ფოიოტში'' შევხვდეთო. "ფოიოტში'' ფრანგი სენატორები სადილობდნენ ხოლმე და იგი იმდენად აღემატებოდა ჩემს ფინანსებს, რომ იქ სადილს ოცნებაშიც კი ვერ ვბედავდი, მაგრამ მოხიბლული ვიყავი ყურადღებით და ახალგაზრდობის გამო, ქალისთვის უარის თქმა ჯერ არ მესწავლა.(უნდა დავამატო, რომ კაცების მხოლოდ მცირე რაოდენობას სწავლობს ქალებისათვის უარის თქმას იმ ასაკში, რომელიც გარკვეულ დისკომფორტს მაინც შეუქმნის საპირისპირო სქესს). გეგმა შევიმუშავე, რომლის მიხედვითაც, იმ დროისათვის დარჩენილი 80 ოქროს ფრანკი მთელ თვეზე მქონდა გადანაწილებული და თუკი ორი კვირით დავთმობდი ყავას, არ უნდა გამჭირვებოდა. მსუბუქად წახემსებისთვის კი, სულ დიდი, 15 ფრანკი იყო საჭირო.

მივწერე, რომ ხუთშაბათს, პირველის ნახევარზე შევხვდებოდი.

ჩემი მოლოდინი, რომ ის ახალგაზრდა და ლამაზი იქნებოდა, არ გამართლდა. ქალს დიდი თეთრი კბილები ჰქონდა და მუდმივად ლაპარაკობდა, მაგრამ რადგანაც მხოლოდ ჩემზე საუბრობდა, ყურადღებით ვუსმენდი. შევშფოთდი, როდესაც მენიუ მოიტანეს, რადგან ფასები ჩემ მიერ წარმოდგენილს ბევრად აჭარბებდა. ქალმა შემამჩნია და დამამშვიდა:

– მე არაფერს მივირთმევ საუზმეზე.

– არა, რას ამბობთ?!– ვუპასუხე გულუხვად.

– ერთი კერძი სრულიად საკმარისია. ვფიქრობ, ჩვენს დროში ხალხი ზედმეტად ბევრს მიირთმევს. პატარა თევზი, ალბათ. ნეტავ ამათ ორაგული აქვთ?

წლის დასაწყისი იყო და ორაგული მენიუში არ იყო შეტანილი, მაგრამ როდესაც მიმტანს ვკითხე, მიპასუხა, სწორედ ახლახან მივიღეთ, ამ სეზონზე პირველად, შესანიშნავი ორაგულიო. მეც შევუკვეთე ის სტუმრისთვის. მიმტანმა ქალბატონს ჰკითხა, ორაგულის მომზადებამდე რამეს ხომ არ მიირთმევთო.

–არა,–უპასუხა მან, –ერთი კერძის მეტს არასდროს მივირთმევ. თუმცა არა, ცოტაოდენი ხიზილალა შეიძლებოდა. ვერასდროს ვამბობ უარს მასზე.

ცოტა არ იყოს, გული დამიმძიმდა. ვიცოდი, ვერ შევწვდებოდი ხიზილალას, მაგრამ ამას მას ხომ ვერ ვეტყოდი. ოფიციანტს ვთხოვე, ხიზილალა მოეტანა. ჩემთვის კი უიაფესი კერძი, ცხვრის ხორცის კატლეტი, შევუკვეთე.

– არ ღირს ისეთი მსუყე კერძის მირთმევა, როგორიც ხორცია,– თქვა მან.– არ ვიცი, ამის შემდეგ როგორ აპირებთ მუშაობას. მე ყოველთვის ცოტას ვჭამ და თავს მშვენივრად ვგრძნობ.

ჯერი სასმელზე მიდგა.

– მე საუზმეზე არ ვსვამ,– მითხრა მან.

– არც მე,– არ დავახანე მეც.

– თეთრი ღვინო გამოკლისია,– გააგრძელა ქალმა, თითქოს ვერც კი გაიგონა, რა ვთქვი.

– ფრანგული თეთრი ღვინო ძალიან მსუბუქი და სასარგებლოა.

– კიდევ რას ინებებთ?_ ვკითხე ოდნავ თავშეკავებლად, თუმცა, ჯერ კიდევ სტუმართმოყვარედ.

მანაც, საპასუხოდ, მხიარული, მეგობრული ღიმილი მტყორცნა.

– ექიმი ყველა სასმელს მიკრძალავს, შამპანურის გარდა.

ფერი დავკარგე. სხვათა შორის ვახსენე, ექიმი მიკრძალავს შამპანურის სმას–მეთქი და ნახევარი ბოთლი შევუკვეთე.

– აბა, მაშინ, რას დალევთ?–

– წყალს.

ქალბატონმა მიირთვაა ორაგული და ხიზილალა. თან მხიარულად საუბრობდა ხელოვნებაზე, ლიტერატურასა და მუსიკაზე. მე კი მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გადამეხადა ამხელა თანხა. როცა კატლეტები მომიტანეს, მან გადაჭრით მითხრა:

– ვხედავ, კარგად დანაყრებას ხართ მიჩვეული, მაგრამ ეს არასწორია. მომბაძეთ მე, მხოლოდ ერთი თავი მიირთვით და თავს გაცილებით უკეთ იგრძნობთ.

– მე მხოლოდ ერთი კერძით დავკმაყოფილდები დავძინე, როდეაც მიმტანი გამოჩნდა, ანგარიშით ხელში.

ქალმა იგი მსუბუქი, ჰაეროვანი მოძრაობით იხმო.

– მე მხოლოდ მსუბუქად წავიხემსებ ხოლმე საუზმისას. უფრო მეტს მხოლოდ საუბრის გახანგრძლივებისათვის მივირთმევ, მაგრამ სატაცურზე უარს კი არ ვიტყოდი. ძალიან დამწყდება გული, თუკი პარიზს მისი დაგემოვნების გარეშე დავტოვებ.

ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. სატაცური მხოლოდ მაღაზიაში მქონდა ნანახი და, თუმცა სული მიმდიოდა მასზე, უზარმაზარი ფასის გამო ვერ ვყიდულობდი.

–ქალბატონს სურს გაიგოს სატაცური გაქვთ თუ არა?– ვკითხე მიმტანს.

ყოველნაირად ვეცადე, მომტენი მიმეხვედრებინა, რომ უარი ეთქვა . მისი სახე კი ბედნიერმა ღიმილმა მოიცვა და დამამშვიდა, რომ სასწულებრივად კარგი სატაცური ჰქონდათ.

–შიმშლით გული კი არ მიმდის, აღნიშნა ჩემმა სტუმარმა.– მაგრამ თუ დაიჟინებთ, უარს არ ვიტყვი მის დაგემოვნებაზე.

 შევუკვეთე.

– თქვენ არ გნებავთ?– მკითხა მან.

– არა, მე არასდროს მივირთმევ სატაცურს.

– ვიცი, ზოგს არ მოსწონს მისი გემო. –თუმცა, ფაქტია, მადა დაკარგეთ. ხორცის ჭამა მადას საბოლოოდ აფუჭებს.

სანამ სატაცურს მოამზადებდნენ, პანიკამ შემიპყრო. იმაზე უკვე აღარ ვფიქრობდი, მთელი თვე თავი რითი გამეტანა. დარწმუნებული ვიყავი, საუზმისათვის საფასურადაც კი არ მეყოფოდა. საშინელება იქნებოდა, 10 ფრანკი თუ დამაკლდებოდა და იძულებული გავხდებოდი, ჩემი სტუმრისგან მესესხა. ამას ვერასოდეს გავაკეთებდი. გადავწყვიტე, თუ ანგარიში ნავარაუდებ თანხას გადააჭარბებდა, დრამატული შეძახილით გამომეცხადებინა, საფულე ამომაცალეს–მეთქი და თუკი ქალსაც არ აღმოაჩნდებოდა საკმარისი თანხა, გირაოდ საათი დამეტოვებინა და მოგვიანებით გადამეხადა. ამ დროს, უზარმაზარი, ცვრიანი და საოცრად მადისაღმძვრელი სატაცურიც გამოჩნდა. მდნარი კარაქის სუნმა ყნოსვა გამიმძაფრა, ისე როგორც იეღოვას, ერთგული სემიტების მიერ შეწირული მსხვერპლის სურნელის შეყნოსვისას. ვუყურებდი, როგორ იტენიდა ქალი უზარმაზარ ლუკმებს, მე კი თავაზიანად ვმსჯელობდი დრამის მდგომარეობაზე ბალკანეთში. ბოლოს, როგორც იქნა, დამთავრდა საუზმე.

–ყავას ინებებთ?– ვკითხე.

–დიახ, ყავას და ნაყინს,– მიპასუხა მან.

უკვე აღარ მანაღვლებდა, შევუკვეთე მისთვის ყავა და ნაყინი და ჩემთვის მხოლოდ ყავა.

–იცით, ერთი რამის ღრმად მწამს,– აღნიშნა, თან ნაყინს შეექცეოდა,– სუფრა ბოლომდე დანაყრებულმა არ უნდა დატოვო.

–კიდევ გნებავთ რამე?– ვკითხე სასოწარკვეთილმა.

– არა, ხომ ნახეთ , არ მივირთმევ საუზმეს. ერთი ჭიქა ყავა დავლიე დილით და შემდეგ ვისადილებ, მაგრამ საუზმეზე ერთი კერძის მეტს არასდროს მივირთმევ. მე მხოლოდ თქვენ გამო ვამბობ ამას.

– დიახ, ვხედავ!

შემდეგ კი საშინელება მოხდა. მთავარი მიმტანი, ყალბი ღიმილით, გამოჩნდა დიდი ატმებით სავსე კალათით ხელში. ისე მიმზიდველად გამოიყურებოდნენ... მაგრამ ატმის სეზონი ჯერ არ იყო და ღმერთმა უწყის, რა ღირდა. მოგვიანებით მაინც მომიხდა ფასის გაგება, როცა ჩემს სტუმარს გავუმასპინძლდი.

– ხედავთ? ხორცისგან დამძიმებული კუჭით ვეღარაფერს მიირთმევთ. ჩემი საცოდავი კატლეტი,

– მე კი სიამოვნებით დავაგემოვნებ ატამს.

საბოლოოდ ანგარიში მოიტანეს, უზომოდ გაბერილი. გადახდა შევძელი, მაგრამ გროშიც კი აღარ დამრჩა. ქალის მზერა ერთი წამით შეჩერდა არაადეკვატურ საზღაურზე, რომელიც მომტანისათვის დამრჩა. დარწმუნებული ვარ, გაიფიქრა, რა ძუნწიაო. მე კი, რესტორნიდან გამოსვლისას, მთელი თვე მქონდა წინ და არც ერთი ფრანკი ჯიბეში.

– მომბაძეთ და ნურასდროს მიირთმევთ ერთ კერძზე მეტს საუზმეზე,–დამარიგა მან დამშვიდობებისას.

– უკეთესი გზაც ვიცი,–შევეპასუხე, – დღეს არც ვისადილებ და არც ვივახშმებ.

– ხუმრობთ? რა თქმა უნდა ხუმრობთ,– მიპასუხა გაბრწყინებული სახით და ტაქსში შეხტა.

წლების შემდეგ გული მოვიოხე. ნამდვილად არა ვარ შურისმაძიებელი ადამიანი, მაგრამ, როდესაც უკვდავი ღმერთი ჩაერევა საქმეში, მოკვდავებს მოგვეტევება შედეგის სიამოვნებით ცქერა. დღეს ის ქალი ოცდაერთ სტოუნს იწონის*.

(* ერთი სტოუნი უდრის 6, 35 კილოგრამს)